ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

კობა გვენეტაძე: „ბანკები „ბავშვთა სამყაროში" დაზარალებულებს სესხებს გადაუვადებენ"



გვ.4

31 იანვრიდან

ლორენს რიზი

მეორე მსოფლიო ომი დახურულ კარს მიღმა

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



სამშაბათი, 31 იანვარი, 2017 №25 (7260) ფასი: 50 თეთრი

# „ბავშვთა სამყაროს" შენობა „ალდაგში" 6 მილიონ ლარადაა დაზღვეული



გვ.2

ლაშა აბაშიძე: „შენობის ნაწილის დემონტაჟი მოხდება"







## გიგა ბუკია: „ვანო მერაბიშვილის პოლიტპატიმრობაზე სტრასბურში მსჯელობა არ ყოფილა"





გვ.2

„ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე საუბარი აბსურდულია"

## არჩილ თალაკვაძე: „ჩვენ გვექნება სისტემა, რომელიც რეალურად დაიცავს საქართველოს მოქალაქეების უსაფრთხოებას, მათ სიცოცხლეს და სტაბილურობას ქვეყანაში"



გვ.5

## რამაზ საყვარელიძე: „მთლიანად მაჟორიტარულ არჩევნებზე უნდა გადავიდეთ"



გვ.11

„კეთილდღეობა ვალების ხარჯზე არ უნდა გავზარდოთ"



გვ.4

## „დასავლეთი და რუსეთი ივანიშვილის შემცვლელს ეძებენ"



გვ.3

ზაალ კასრელიშვილი: „ის, ვისაც მაისამდე გადააგდებენ, რუსების ფავორიტია. მას მთავრობაშიც ჰყავს გუნდი და პარლამენტშიც"

ISSN 1987-9385

## „ლარის კურსი იქნება სტაბილურად ვარდნად მდგომარეობაში"



გვ.4

„უნდა შეიქმნას ტექნოკრატიული მთავრობა"



# „ბავშვთა სამყაროს“ შენობა „ალდაგში“ 6 მილიონ ლარადაა დაზღვეული

## ლაშა აბაშიძე: „შენობის ნაწილის დემონტაჟი მოხდება“

30 იანვარს დილით თბილისში „ბავშვთა სამყაროს“ ცეცხლი გაუჩნდა.

ხანძრის შედეგად დაიწვა შენობა და მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა ტერიტორიაზე განთავსებულ სავაჭრო ობიექტებს.



გუშინ „ბავშვთა სამყაროს“ აღმასრულებელმა დირექტორმა განაცხადა, რომ დირექცია პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს.

– სავაჭრო ცენტრის ადმინისტრაცია სრულად გრძნობს შექმნილ ვითარებას და პასუხისმგებლობას იღებს თავის თავზე, ამავდროულად, ჩვენ დაველოდებით გამოძიების დასრულებას, – განაცხადა „ბავშვთა სამყაროს“ აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი მაჭავარიანმა.

მისი თქმით, წინასწარი მონაცემებით, ზარალმა რამდენიმე მილიონი ლარი შეადგინა.

– გავრცელებულ ინფორმაციას ხანძრის ხელოვნურად გაჩენის თაობაზე, სრულად გამოვრიცხავ. მე ვთხოვ მედიას და პოლიტიკოსებს, თავი შეიკავონ შექმნილი ვითარების პოლიტიკურ ჭრილში გადატანისგან, – განაცხადა გიორგი მაჭავარიანმა.

გუშინ გაირკვა, რომ „ბავშვთა სამყაროს“ შენობის ნაწილის დემონტაჟი მოხდება,

რის შემდეგაც იქნება შესაძლებელი შენობიდან დაზარალებულთა ნივთების გამოტანა.

ამის შესახებ ჟურნალისტებს თბილისის ვიცე-მერმა ლაშა აბაშიძემ განუცხადა.

ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც შენობა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტებმა დაათვალიერეს.

დაზარალებულთა ნაწილი აღნიშნული ინფორმაციით უკმაყოფილოა. მათი განცხადებით, არსებობს საშიშროება, რომ მათი კუთვნილი ნივთები დაიკარგოს.

ლაშა აბაშიძის თქმით, სპეციალურმა ჯგუფმა შეამოწმა ტერიტორია, სადაც საცავებია განთავსებული და დაადასტურა, რომ ოქრო-ვერცხლი დაზიანებული არ არის.

– შესული იყო ჯგუფი, რომელმაც დაათვალიერა ყველაზე ფასეული ოქრო-ვერცხლი. ჯგუფმა დაადასტურა, რომ სეიფები, სადაც ეს ნივთებია შენახული, არ არის დაზიანებული, – განაცხადა ლაშა აბაშიძემ.

ადგილზე სიტუაციის გასაცნობად მივიდა თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი.

* * *

გუშინვე გაირკვა, რომ „ბავშვთა სამყაროს“ შენობა „ალდაგშია“ დაზღვეული.

– ჩვენს კომპანიაში დაზღვეულია მხოლოდ „ბავშვთა სამყაროს“ შენობა-ნაგებობა და არა – მოვაჭრეების კუთვნილი ქონება, – განაცხადა სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ ქონებრივი ზარალების მართვის დეპარტამენტის დირექტორმა ვახტანგ ებიტაშვილმა.

როგორც მან აღნიშნა, დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები, მიზეზებისა და ასევე ზიანის ოდენობის დასადგენად.

– ხანძრის შედეგად დაზიანდა სადაზღვევო კომპანია „ალდაგში“ დაზღვეული სააქციო საზოგადოება „ბავშვთა სამყაროს“ კუთვნილი შენობა-ნაგებობა. ჩვენი ჯგუფები ინფორმაციის მიღებისთანავე ჩართულები არიან ზარალის რეგულირების პროცესში.

ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. ამ ეტაპზე შენობის შიგნით შესვლა პრაქტიკულად შეუძლებელია. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები, მიზეზების და ასევე ზიანის ოდენობის დასადგენად.

ჩვენი მხრიდან უმოკლეს დროში მოხდება მოცემული სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზარალის ანაზღაურება, – განაცხადა ბ-მა ებიტაშვილმა.



მისივე თქმით, აღნიშნული შენობა-ნაგებობა დაზღვეულია 6 მილიონ ლარად.

– ზიანის ოდენობა გვეცოდინება ექსპერტიზების დასრულების შემდეგ, რაც გულისხმობს ასევე შენობის გარემონტებას მისი აღდგენის შემთხვევაში, ხოლო თუ შენობა ავარიული გახდა და მისი აღდგენა ფიზიკურად შეუძლებელია, ბუნებრივია, სრულ ზიანზე იქნება საუბარი, – განაცხადა ებიტაშვილმა.

* * *

ხანძრის გამომწვევი მიზეზი ჯერჯერობით დადგენილი არ არის.

„ბავშვთა სამყაროს“ შენობაში მოქმედი ობიექტის – „პროგრესი 2011“-ის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ხანძრის გაჩენაში ელექტროენერგიით გამოწვეულ ფაქტორს გამორიცხავს.

როგორც „პროგრესი 2011“-ის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა დავით ჩუბინიძემ ინტერპრესნიუსს განუცხადა, შენობაში ელექტროენერგია გამორთული იყო, ასევე ჩაკეტილი იყო ობიექტი.

– გამოძიებას უნდა დაველოდოთ. ელექტროობა გამორთული იყო. სანამ გამოძიება არ დაადგენს, ჩემთვისაც წარმოუდგენელია, ისე ვარ შეძრწუნებული, ველარ გავიგე თავი და ბოლო. დენი ირთვება, იკეტება და დაცვას ბარდება. ეს არის მომხდარი შუაღამეს, 04:30 საათზე. დენის ფაქტორი გამორიცხულია. ობიექტი ჩაკეტილი იყო. რა შეიძლება იყოს, ჩემამდე არ დადის, – აღნიშნა დავით ჩუბინიძემ.

რაც შეეხება მოვაჭრეების ნაწილის მოსაზრებას, რომ ხანძარი განზრახ არის გაჩენილი, ჩუბინიძის თქმით, მას მეტი პასუხისმგებლობა აქვს და ასეთი რაღაცის თქმა მისთვის წარმოუდგენელია.

ინტერპრესნიუსი დაინტერესდა პა-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# გიგა ბუკია: „ვანო მერაბიშვილის პოლიტპატიმრობაზე სტრასბურში მსჯელობა არ ყოფილა“

## „ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე საუბარი აბსურდულია“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ ესაუბრა პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენელს, კონსერვატორების ფრაქციის ლიდერ **გიგა ბუკიას.**

***– საზოგადოებაში გამოითქმის შეშფოთება იმაზე, რომ ვანო მერაბიშვილი შეიძლება ციხიდან პოლიტპატიმრის სტატუსით გამოვიდეს. შესაბამისი გადაწყვეტილება, შესაძლოა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიღოს.***

– ვანო მერაბიშვილის პოლიტპატიმრობაზე სტრასბურში მსჯელობა არ ყოფილა. იქ იხილებოდა ერთი პროცესუალური შესაძლო დარღვევა მის მიმართ, ანუ მისი საკნიდან გამოყვანის საკითხი. ესეც არ იყო დადასტურებული. ვანო მერაბიშვილი პოლიტპატიმარი არ არის.





***– მერაბიშვილზე განცხადებებს აკეთებენ ის კანდიდატებიც, რომელთა კანდიდატურებიც სტრასბურში დაიწუნეს. მათი აზრით, კანდიდატურების ჩავარდნა მერაბიშვილს და მის მომხრეებს აწყობთ, რომ მათთვის სასურველი გადაწყვეტილება იქნას მიღებული..***

– ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში იაქტიურეს იმავე ადამიანებმა, რომლებიც ამას ადრე აკეთებდნენ. ვგულისხმობ წინა ხელისუფლებასთან დაკავშირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ჯგუფებს, პირებს. ისინი ყველა ღონეს ხმარობდნენ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების არადემოკრატიულად წარმოჩენისათვის სხვადასხვა სტრუქტურაში. ამისათვის დეზინფორმაციასა და ცილისწამებას არ ერიდებოდნენ. ჩვენ წინა წლებში ყველაფერი გავაკეთეთ, რომ დასავლელ კოლეგებამდე რეალური ინფორმაცია მიგვეტანა და ცრუ ბრალდებები გაგვებათილებინა. ეს ბევრგან შევძელით. როგორც ჩანს, სტრასბურის სასამართლოს მეტი ინფორმირებულობა სჭირდებოდა ჩვენი მხრიდან.

### „ტრამპის ადმინისტრაციასთან კონტაქტების ძიება აქტიურად მიმდინარეობს“

***– მოსამართლეობის კანდიდატების ჩავარდნა თქვენ მიერ ნახსენები ჯგუფების დამსახურებაა?***

– მათ მოახდინეს გავლენა ევროპულ სასამართლოზე. კანდიდატურების შერჩევა საქართველოში დემოკრატიულად და გამჭვირვალედ მოხდა. აქაც მიმდინარეობდა კამპანია მათ წინააღმდეგ. მაგალითად, ევა გოცირიძე, რომელსაც უმაღლესი კვალიფიკაცია აქვს, არაკომპეტენტურად მოინათლა. პასკვილები ქვეყნის და ხელისუფლების წინააღმდეგ დასავლურ ინსტიტუტებში ბევრი ყოფილა. ამ შემთხვევაშიც იყო საქართველოსთვის ჩირქის მოცხების მცდელობა და იმის მტკიცება, თითქოს საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება არადემოკრატიულია.

***– არადემოკრატიულობის ერთ-ერთ გამოვლინებად ოპონენტები „ქართულ ოცნებას“ უთვლიან პრეზიდენტის ინსტიტუტის კიდევ უფრო დასუსტების სურვილს.***

– ამაზე ის ხალხი საუბრობს, რომელსაც ბოლო 20 წლის განმავლობაში ხმა არაფერზე ამოუღია. საქართველოს კონსტიტუციით პრეზიდენტს არანაირი პასუხისმგებლობა არ გააჩნია. მას არც უფლებები აქვს და არც – პასუხისმგებლობა. გიორგი მარგველაშვილი, ძირითადად, განცხადებებს აკეთებს. მას სხვა ფუნქცია არ გააჩნია. ჩემი შეფასებით, მისი განცხადებები ძალიან ხშირად გაუგებარი და წინააღმდეგობრივია. ვინც უნდა იყოს ამ თანამდებობაზე, პრეზიდენტის არჩევის წესი უნდა შეესატყვისებოდეს მის ფუნქციებს. ჩვენი აზრით, ამ მდგომარეობას შეეფერება, თუ პრეზიდენტს არაპირდაპირ ავირჩევთ. ეს უფრო გონივრული და ეკონომიური იქნებოდა. პრეზიდენტის სახალხო, ანუ პირდაპირი წესით არჩევნებზე 30 მილიონი ლარი იხარჯება იმ დროს, როცა ამ თანამდებობის პირს უფლებები არ გააჩნია. ამჟამად პრეზიდენტის ასეთი ინსტიტუტი გვაქვს. ადრე უფრო ძლიერი იყო ეს ინსტიტუტი. ევროპის არაერთ დემოკრატიულ და საპარლამენტო მმართველობის რესპუბლიკაში ირჩევენ პრეზიდენტს არაპირდაპირი წესით.

***– „ქართულ ოცნებას“ აკრიტიკებენ იმის გამოც, რომ მან უკვე გააფუჭა ურთიერთობები დონალდ ტრამპის ადმინისტრაციასთან თავისი ნეოლიბერალური შეხედულებების გამო..***

– დონალდ ტრამპის ადმინისტრაციასთან კონტაქტების ძიება აქტიურად მიმდინარეობს. აშშ ჩვენი პარტნიორი და მეგობარია. არ მესმის, რატომ აბრალებენ „ქართულ ოცნებას“ ან საპარლამენტო უმრავლესობას ნეოლიბერალიზმს. ეს ხელისუფლება ცენტრისტულია და ცდილობს გაატაროს ზომიერი, დაბალანსებული და ქვეყნისთვის საჭირო ინტერესები. ნეოლობერალიზმი ამ ხელისუფლებას არ ახასიათებს.

***– ხელისუფლების ოპონენტები ვარაუდობენ, რომ ხელისუფლებას მძიმე დღეები უდგას და მალე დაინიშნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები.***

– სიმართლე გითხრათ, პროგნოზი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შესახებ პირველად მესმის. ბოლო არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, ამაზე საუბარი აბსურდულია. გამოითქვა მოსაზრებები, რომ პრეზიდენტი შეიძლება გადადგეს და ახალი საპრეზიდენტო არჩევნები დადგეს დღის წესრიგში. ეს გამიგია, მაგრამ საპარლამენტო ვადამდელი არჩევნების თაობაზე არ მსმენია.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „დასავლეთი და რუსეთი ივანიშვილის შემცვლელს ეძებენ“

შორენა მარსაგიშვილი

## ზაალ კასრელიშვილი: „ის, ვისაც მაისამდე გადააგდებენ, რუსების ფავორიტია. მას მთავრობაშიც ჰყავს გუნდი და პარლამენტშიც“

რომელ პარტიებს და პოლიტიკოსებს გადააგდებს რუსეთი, რა შეიცვლება საქართველოსთვის ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგ, რა პრეტენზიები აქვთ ევროპელებს და კავკასიელებს საქართველოს ხელისუფლებასთან, რა პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ ქართველი სამხედროები? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში **ზაალ კასრელიშვილი** ესაუბრება.

***– ნაციონალური მოძრაობის მტკიცებით, ხელისუფლებამ მოსკოვს იმ ქართველი სამხედროების სია და მონაცემები გადასცა, რომლებიც აქტიურად იბრძოდნენ რუსეთის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ?***

– მე არ მაინტერესებს, რას ამბობენ ნაციონალები, მე ვუსმენ იმ ხალხს, რომლებსაც ევროპასა და კავკასიაში სცემენ პატივს. ამ ხალხს კი საქართველოს ხელისუფლების მიმართ ბევრი კითხვა აქვთ. მათ ძალიან უკვირთ, რატომ პასიურობს ოფიციალური თბილისი აფხაზეთის და სამაჩაბლოს მიმართულებით. ბოლო 4 წლის მანძილზე ამ მიმართულებით ერთი მკვეთრი განცხადებაც კი არ გაკეთებულა.

საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა აღარც ნატოს მიმართულებით აქტიურობს, რაც დასავლეთში აჩენს საფუძვლიან ეჭვებს იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ხელისუფლება შეგნებულად ასუსტებს დასავლურ კურსს. ყველაზე ცუდი ის არის, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ჩვენი ხელისუფლება ღიად შეუდგა რუსეთის სპეცსამსახურების დავალებების შესრულებას. ხელისუფლებაში მოკალათებული მოღალატეები რუსეთს იმ ქართველი სამხედროების მონაცემებს აწვდიან, რომლებიც ოკუპანტის წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდნენ.

დასავლეთში ამის გამო ძალიან არიან შეშფოთებულები და არ გამორიცხავენ, რომ რუსებმა ისევე იძიონ ქართველ სამხედროებზე შური, როგორც რამდენიმე ჩრდილოკავკასიელ გენერალსა და ოფიცერზე იძიეს.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ რუსეთი ქართველ სამხედროებზე დაიწყებს ნადირობას?***

– რაკი რუსეთმა ეს მონაცემები მოითხოვა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთმა ქართველ სამხედროებზე ნადირობა უკვე დაიწყო.

მინდა თქვენს მკითხველს ერთი კითხვა დავუსვა – ზოგიერთის ლოგიკით, საქართველოში შემოჭრილ რუს დამპყრობელზე ხელის აწევა არ შეიძლება, რადგან ამის გამო მოსკოვი იძიებს შურს. თავის მიწა-წყალს რომ იცავს ქართველი, იმაზე ხელის აღმართვა შეიძლება? ამ ადამიანებს რატომ არ იცავს ხალხი და ხელისუფლება?

რუსეთის მონების გასაგონად ვამბობ, ადამიანის უფლებების დაცვის ევროპულ კონვენციაში წერია, რომ ყველა ადამიანს შეუძლია დაიცვას საკუთარი ოჯახი და სამშობლო.

***– მართალია ზემოთ თქვით, რომ არ გაინტერესებთ, რას ამბობენ ნაციონალები, მაგრამ მათი პრეტენზიები გაიმეორეთ. არადა, ყოველთვის მათი წინააღმდეგი იყავით.***

– კიდევ გიმეორებთ, მე არ მაინტერესებს, რას ამბობენ ისინი. არც ადრე და არც ახლა ყოფილი ხელისუფლების მხარდამჭერი არ ვყოფილვარ. მე იმ კითხვებზე ვსაუბრობ, რაც ჩვენს მეგობრებს გაუჩნდათ ევროპაში. ადრე თუ გვიან, ხელისუფლებას ამაზე პასუხის გაცემა მოუწევს. მინდა იცოდეს ამ ხალხმა, რომ ევროპაშიც და კავკასიაშიც კარგად იციან გამყიდველების ვინაობა. რაც შეეხება ნაციონალების მიერ გაკეთებულ განცხადებებს, ეს არის ძალიან ცუდი.

***– სიმართლეს თუ ამბობენ, რატომ უნდა იყოს ცუდი ამ განცხადების გაკეთება?***

– იმიტომ, რომ ხალხს მათი არ სჯერა და ამიტომ არ აქვთ ამ შემაშფოთებელ ინფორმაციაზე რეაქცია. მინდა ყველამ იცოდეს, რომ საქმე ძალიან ცუდად არის და ამიტომაც ამოვიღეთ ჩვენ ხმა.

ადრე თუ გვიან, ყველაფერს აეხდება ფარდა და ყველა გაიგებს, ვინ რომელი ქვეყნის სპეცსამსახურების დავალებას ასრულებდა. თუ ვინმე იმას ფიქრობს, რომ ან ევროპამ და ან კავკასიელებმა არ იციან, ვის მოიაზრებს რუსეთი ივანიშვილის ალტერნატივად, ძალიან ცდებიან.

***– რას გულისხმობთ, როცა ივანიშვილის შემცვლელზე საუბრობთ?***

– ამ ქვეყანას ჰყავს სპეცსამსახურები, ამ ქვეყანას ჰყავს პოლიტიკოსები, რომლებსაც საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვთ, ადგნენ და თავად გაარკვიონ, რა ხდება. მე მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ივანიშვილის ალტერნატივას დასავლეთიც ეძებს და რუსეთიც. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, პროცესი დაწყებულია, დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს.

***– ივანიშვილი პოლიტიკიდან ოფიციალურად წასულია. აქედან გამომდინარე, რატომ უნდა მოძებნონ მისი შემცვლელი, ან იქნება სხვა რამესთან გვაქვს საქმე?***

– ივანიშვილი პოლიტიკიდან წავიდა, მაგრამ მას უდიდესი ავტორიტეტი და გავლენა აქვს. როცა ვამბობ, რომ მის ალტერნატივას ეძებენ, ვგულისხმობ იმას, რომ ისეთ კაცს ეძებენ, რომელიც თავისი გუნდით ივანიშვილსა და მის გუნდს გაუწევს კონკურენციას.

***– ივანიშვილი რატომ გახდა მიუღებელი?***

– ეტყობა, არ ასრულებს მათ დავალებებს პირნათლად. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი შემცვლელის ძებნა არ დაიწყებოდა.

***– არსებობს პოლიტიკურ ჰორიზონტზე ასეთი პერსონა, რომელიც ყოფილ პრემიერს ჩაანაცვლებს?***

– როგორ არ არსებობს. სამი ჯგუფი მოიაზრება ივანიშვილის ალტერნატივად. აქედან ორი პოლიტიკური პარტიით არის წარმოდგენილი. ტყუილად ჰგონიათ, რომ ფსონი მათზე დაიდება. სპეცსამსახურები მათ უბრალოდ ყურადღების გადასატანად იყენებენ. რაც შეეხება მესამეს, ის უფრო სოლიდურად გამოიყურება, მაგრამ იმანაც უნდა იცოდეს, რომ მაისამდე მასაც გადააგდებენ.



### „ნაადრევად დაუწყეს ზოგიერთებმა ოკუპანტს კუდის ქიცინი“

***– მათ ვინაობას არ დაასახელებთ?***

– შეგნებულად არ დავასახელებ.

***– მიზეზი?***

– არ გვინდა ბინძური გარიგებების და თამაშების მონაწილეები გავხდეთ. მესმის, რომ საზოგადოებას ამ საკითხის მიმართ დიდი ინტერესი გაუჩნდება და რაღაც მინიშნებას ვიტყვი – ის, ვისაც მაისამდე გადააგდებენ, რუსების ფავორიტია. მას მთავრობაშიც ჰყავს გუნდი და პარლამენტშიც.

***– თქვენ ხელისუფლების მიერ საგარეო პოლიტიკის კურსის ცვლილებაზე აქტიურად საუბრობთ. ბევრი ამას ტრამპის გაპრეზიდენტებას უკავშირებს, რომელიც ჩვენში რატომღაც რუსეთის მოკავშირედ აღიქმება.***

– კითხვები ჩვენი ხელისუფლების მიმართ ჩვენს ევროპელ მეგობრებს ტრამპის გაპრეზიდენტებამდე გაუჩნდათ. რაც შეეხება თავად ტრამპის პრორუსულობას, ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. აი, ტრამპსა და პუტინს შორის გამართული სატელეფონო საუბარი კი კიდევ ერთი მიზეზია საიმისოდ, რომ ჩვენს დასავლელ მეგობრებს კითხვის ნიშნები გაუჩნდეთ საქართველოს საგარეო კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით.

***– ამ სატელეფონო საუბარში რა იყო ისეთი? აშშ-ის და რუსეთის პრეზიდენტებს საქართველო საერთოდ არ უხსენებიათ.***

– საქმეც ეგაა, რომ საქართველო არ უხსენებიათ. ეს დასავლელ პარტნიორებს აფიქრებინებს, რომ საქართველო განცხადებებით ევროპულ კურსს უჭერს მხარს, სინამდვილეში კი რუსეთის დავალებებს ასრულებს, რაც კრემლს ხელ-ფეხს უხსნის.

***– თქვენ ტრამპის პრორუსულობისა არ გჯერათ, მაგრამ აშკარაა, რომ ის მოსკოვთან სიტუაციის დალაგებას ცდილობს. შესაბამისად, ალბათ არ გამართლდება დასავლეთის მოლოდინი, რომელიც რუსეთის ჩამოშლას ელოდა.***

– რუსეთის ჩამოშლას არავინ ელოდა, მით უმეტეს, ამერიკა. მეტსაც გეტყვით – თავის დროზე რუსეთის დაშლა სწორედ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა არ გააფორმეს.

***– ეს როდის მოხდა?***

– გასული წლის 90-იან წლებში. მაშინ რუსეთი ჩეჩნეთის პირველ ომში დამარცხდა და ფაქტიურად დაიშალა. ეს დაშლა სწორედ ანგლო-ამერიკელებმა არ გააფორმეს. მათ არც მაშინ და არც ახლა არ აწყობდათ რუსეთის დაშლა.

***– რუსეთის დაშლა თუ არ უნდოდათ, რატომ დასწიეს ნავთობზე ხელოვნურად ფასი, ან ეკონომიკური სანქციები რატომ დაუწესეს?***

– სანქციები არის სასჯელი რუსეთისთვის, რომელსაც ასე მალე არ მოუხსნიან და ტყუილად აქვს ვიღაცას იმის იმედი, რომ ტრამპი რუსეთის საქმეს გააკეთებს. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები, თუ ტრამპმა გადაუხვია რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკას რუსეთის მიმართ და მოსკოვის სასარგებლო გადაწყვეტილებები მიიღო, მაშინ კონგრესიც და სენატიც მის წინააღმდეგ წავლენ. ორივე ორგანოში რესპუბლიკელებს ჰყავთ უმრავლესობა. ამას დაუმატეთ დემოკრატები, რომლებიც ისედაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ ტრამპის გაპრეზიდენტებას.

როგორც კი ტრამპი რუსეთის სასარგებლო გადაწყვეტილებას მიიღებს, ამერიკაში საპროტესტო აქციები დაიწყება. მის წინააღმდეგ მედია და ცნობადი სახეები ისედაც აქტიურად იბრძვიან, აქციები თუ დაიწყება, იცოდეთ, რომ ეს ტრამპის იმპიჩმენტით დასრულდება. ასე რომ, ნაადრევი დასკვნების გაკეთებისგან ყველამ თავი უნდა შეიკავოს.

***– და ტრამპის ხათრით, რუსეთის კუდის ქიცინიც არ უნდა ღირდეს.***

– რუსეთს არავის ხათრით არ უნდა დავუწყოთ კუდის ქიცინი. ჩვენთვის საერთოდ არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა იმას, ვინ უჭერს რუსეთს მხარს. ქართველ ბუდარიებს მინდა შევახსენო, რომ როცა დამოუკიდებლობისთვის დავიწყეთ ბრძოლა, მაშინ არავის იმედი არ გვქონდა. ჩვენი მიზანი დამოუკიდებელი, ძლიერი ქართული სახელმწიფოს შექმნა იყო. ეს ბრძოლა 1991 წლის 21 დეკემბერს შეგვაწყვეტინეს.

საქმე ისე მიდის, რომ თავიდან მოგვიწევს ამ ბრძოლის დაწყება. ეს ვიღაცას ძალიან აშინებს და ამიტომაც დაიწყეს სამშობლოს დამცველების დევნა და პატრიოტების შევიწროება.

ისევ ტრამპის და პუტინის სატელეფონო საუბარს დავუბრუნდები. კარგი არ იყო, რომ არ გვახსენეს, მაგრამ მათი თანამშრომლობის შემთხვევაშიც შეიძლება საქართველომ სარგებელი ნახოს.

***– რა სარგებელი შეიძლება ვნახოთ?***

– საქართველო ძალიან მომგებიან სიტუაციაში იმყოფება. შეიძლება ითქვას, რომ ხელში 4 ტუზი და 2 კოზირი გვიჭირავს. ახლა ყველაფერი ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. ამ ხელისუფლებას კი, სამწუხაროდ, სხვა მიზანი აქვს.

# „ბავშვთა სამყაროს“ შენობა „ალდაგში“ 6 მილიონ ლარადაა დაზღვეული

დასაწყისი მე-2 გვერდზე






სუხისმგებლობის საკითხით, ასევე დედაქალაქის მერის, დავით ნარმანიას განცხადების შეფასებით, რომლის თანახმად, „ბავშვთა სამყაროში“ გაჩენილი ხანძრისგან დაზარალებული მოვაჭრეების წინაშე პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, ბაზრის ადმინისტრაციამ უნდა აიღოს.

როგორც დავით ჩუბინიძემ აღნიშნა, ვისი ბრალიც იქნება, პასუხისმგებლობაც იმან უნდა აიღოს.

– ამას ყველაფერს გამოძიება ადგენს, რა მიზეზით და როგორ მოხდა, – დასძინა „პროგრესი 2011“-ის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა.

* * *

გუშინ საღამოს „ბავშვთა სამყაროსთან“ შეკრებილ დაზარალებულებსა და სამართალდამცველებს შორის მცირე შელაპარაკება მოხდა.

დაზარალებულები შენობაში შესვლას და საკუთარი ნივთების გამოტანას მოითხოვდნენ, თუმცა სამართალდამცველებმა მათ ამის საშუალება არ მისცეს.

მოვაჭრეები ამბობდნენ, რომ თუ მათ შენობაში შეუშვებდნენ, კუთვნილ ნივთებს გამოიტანდნენ და ზარალის ოდენობა შემცირდებოდა.

მოგვიანებით სიტუაცია თავად სამართალდამცველებმა განმუხტეს.

გუშინვე ობიექტზე შს მინისტრის მოადგილე მერაბ მალანია მივიდა.

– შინაგან საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს „ბავშვთა სამყაროს“ შენობის სრულ დაცვას და უცხო პირი ტერიტორიაზე ვერ შევა, – განაცხადა მან.

მან თქვა, რომ ხანძრის მიზეზი მისთვის უცნობია.

– იყო ალების კერა, რომელსაც ამ წუთებშიც აქრობენ. სამხარაულისა და მერიის ექსპერტები იმყოფებოდნენ შენობაში. მათი დასკვნით, შენობაში შესვლა სახიფათოა, რის საფუძველზეც გადაწყდა შენობის დემონტაჟი. რამდენი დღეც არ უნდა გაგრძელდეს შენობის დემონტაჟი, შინაგან საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს ტერიტორიის სრულ დაცვას და მინდა განვაცხადო, რომ ამ დღეების განმავლობაში უცხო პირი ვერ შევა ტერიტორიაზე, – განაცხადა ბ-მა მალანიამ.

* * *

საღამოს „ბავშვთა სამყაროში“ ცეცხლის ახალი კერები გაჩნდა, რასაც შენობასთან შეკრებილთა პროტესტი მოჰყვა. ისინი ადგილზე სახანძრო სამსახურის დამატებითი ბრიგადების მისვლას მოითხოვდნენ.

შენობაში შესვლას ვერ ახერხებდნენ თავად მაშველები, ვინაიდან ძლიერმა ხანძარმა სავაჭრო ცენტრის კონსტრუქცია დააზიანა და მისი ჩამოშლის საფრთხე არსებობდა. ამიტომ სამაშველო სამსახურის წარმომადგენლები ცეცხლის ახალ კერებს გარე პერიმეტრიდან ებრძოდნენ.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „ლარის კურსი იქნება სტაბილურად ვარდნად მდგომარეობაში“

## „უნდა შეიქმნას ტექნოკრატიული მთავრობა“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ლია ელიავა და პაატა შეშელიძე აფასებენ.

**ლია ელიავა** ამბობს, რომ ქვეყანაში მკვეთრად გამწვავდა როგორც სოციალური მდგომარეობა, ასევე ეკონომიკური პირობები.

***– ეს რას გამოიწვევს?***

– გადასახადების ზრდა ბიუჯეტის შევსების მიზნით ყოველთვის იწვევს მოსახლეობის გაღარიბებას. მოსახლეობის გაღარიბება არის გადახდისუნარიანობის დაკარგვა, რომელიც ბუმერანგივით უბრუნდება ბიზნესს და აზარალებს მას, რადგან ის ვერ ყიდის თავის საქონელს.

***– საწვავის ფასის ზრდასთან ერთად ავტომატურად იზრდება ფასები სხვადასხვა სახის პროდუქტებზე.***

– საქართველოში ჩამოყალიბდა ასეთი ტენდენცია, რომ გადასახადის მატება განაპირობებს ფასების მატებას არაადეკვატური მოცულობით.

***– ანუ?***

– ანუ იზრდება ფასი არა შესაბამისად გაზრდილი გადასახადისა, არამედ კიდევ უფრო მეტად. გარდა ამისა, ეროვნულმა ბანკმა დააპროგნოზა ინფლაციის მაჩვენებლის ზრდა. მისი პროგნოზი ყოველთვის გავლენას ახდენს ეკონომიკური სუბიექტების გადაწყვეტილებაზე.

შესაბამისად, ბიზნესი ელოდება, რომ წლის განმავლობაში და განსაკუთრებით ბოლოსთვის გაიზრდება ინფლაციის მაჩვენებელი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის უკვე თადარიგს იჭერს წინასწარ და ზრდის ფასებს. არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, საქართველოს ეკონომიკას ექმნება სერიოზული პრობლემები და ეს საკითხი მარტო მთავრობას არ ეხება.

***– კიდევ ვისი პასუხისმგებლობის საკითხი იკვეთება?***

– ეს არის ასევე, ეროვნული ბანკის მიერ არასწორად გატარებული ფულად-საკრედიტო და სავალუტა პოლიტიკა.

***– ლარი გაუფასურებას განაგრძობს, კურსის დასტაბილურება ვერ ხერხდება. რა უნდა გააკეთოს ეროვნულმა ბანკმა, ეკონომიკურმა გუნდმა, რომ ეს პროცესი შეჩერდეს?***


ლია ელიავა

– ის, რომ ლარის კურსი 2017 წელს იქნება სტაბილურად ვარდნად მდგომარეობაში, ეს მე ადრეც დამიპროგნოზებია. შემიძლია გავიმეორო, რომ ლარის კურსი პერიოდულად დავარდება, მერე დროებით შეჩერდება, შესაძლოა სულ ცოტათი გამყარდეს, მერე ისევ განაგრძობს ვარდნას და ასეთი პერიოდული ვარდნები ჩვენ გველოდება მთელი 2017 წლის განმავლობაში.

ეროვნულ ბანკს ვურჩევდი, აიმაღლოს კვალიფიკაცია, გაიზიაროს სხვა ცენტრალური ბანკების საქმიანობის პრინციპები, შეასრულოს მასზე კანონით დაკისრებული ვალდებულება, უზრუნველყოს ლარის კურსის სტაბილურობა.

***– ანუ თქვენი პროგნოზი 2017 წლისთვის დამაიმედებელი არ არის?***

– სამწუხაროდ, არა. ძალიან გაუჭირდებათ ლარის კურსის დასტაბილურება.

* * *

**პაატა შეშელიძე** ფიქრობს, რომ ხელისუფლება შეცდომას უშვებს, როცა არაკომპეტენტური ადამიანები ჰკიდებენ საქმეს ხელს. ამიტომ ამ გზებით, რასაც ხელისუფლება გვთავაზობს, სიტუაციის შემობრუნება შეუძლებელია.

***– რატომ არის შეუძლებელი? ხელისუფლება აცხადებს, რომ ამას დრო სჭირდება.***

– იმიტომ, რომ მათ პიროვნულად, ინტელექტუალურად არ ეყოფათ ძალა, რომ შემოგვთავაზონ უკეთესი და, რაც მთავარია, გააკეთონ სხვა. ამიტომ აქ ცვლილებები აუცილებელი და გარდაუვალია. ცვლილებები უნდა დაიწყოს დღესვე.

***– რა სახის ცვლილებებზე საუბრობთ?***

– პირველ რიგში საკადრო ცვლილებებზე. იმ ადამიანებს, ვისაც დღეს ხელფასი ეძლევათ მთავრობაში სამუშაოდ, ეს ხელფასი არ უნდა მიეცეს. ისინი უნდა წავიდნენ სახლებში და ჩამოყალიბდეს განსხვავებული ტიპის, მიდგომის მქონე მთავრობა!

***– პირველი პირების ნაცვლად ჩვენ ვხედავთ, რომ რიგითებს უშვებენ, ოპტიმიზაციის სახელით სამინისტროებში დიდი შემცირებები მიდის.***

– რიგითი ადამიანების ქუჩაში გაყრით არ მოწესრიგდება ვითარება! აქ არის გადამწყვეტი, რომ ხელმძღვანელი პირები, რომლებიც აშკარად ვერ ხედავენ პრობლემას და სისტემატურად ცრუ დაპირებებს იძლევიან, სწორედ ისინი უნდა წავიდნენ!

***– არ იზიარებთ ოპტიმიზაციის პროცესს?***

– რა თქმა უნდა, ოპტიმიზაცია აუცილებელია, მაგრამ ეს უნდა დაიწყოს თავიდან და არა – ბოლოდან! ჩვენ ამ ადამიანებს ვარჩენთ, ძალიან მაღალ ხელფასს ვუხდით, ისინი კი არაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ჩვენ უკეთესად ვიცხოვროთ!

***– რამდენად სწორი იყო აქციზებზე ფასის მატება? საწვავზე ფასის ზრდამ სერიოზული პრობლემები წარმოშვა. კიდევ უფრო დამძიმდება სოციალური ფონი?***


პაატა შეშელიძე

– ეს გადაწყვეტილება თავიდანვე განწირული იყო წარუმატებლობისთვის იმ თვალსაზრისით, რომ ასეთი ტვირთის აკიდება ამ მძიმე სიტუაციაში იყო დიდი შეცდომა.

***– რამდენად გაქვთ იმის მოლოდინი, რომ მოხდება საკადრო ცვლილებები?***

– სამწუხაროდ, მე არ მაქვს ასეთი მოლოდინი და ოპტიმიზმი, მაგრამ ეს არის შეთავაზება ყველა ცხადად მოაზროვნე ადამიანისთვის, რომ ამის გატარება ან შერჩენა ხელისუფლებისთვის არ გამოვა! ეს საკითხი უნდა დაისვას მკაცრად. არც იმის მოლოდინი მაქვს, რომ ხელისუფლება ქუდს დაიხურავს და გადადგება, თუმცა არის ერთი გამოსავალი.

***– რომელი?***

– უნდა შეიქმნას ტექნოკრატიული მთავრობა, რომელსაც ექნება განსხვავებული ხედვა და შეძლებს პასუხისმგებლობის აღებას მიმდინარე პროცესზე. აიღონ კონკრეტული მეთოდოლოგია და ამ მეთოდოლოგიის მიხედვით იმუშაონ. შეძლებ მუშაობას, ხომ კარგი, არადა, წადი სახლში!

# კობა გვენეტაძე: „ბანკები „ბავშვთა სამყაროში“ დაზარალებულებს სესხებს გადაუვადებენ“



ეროვნული ბანკი „ბავშვთა სამყაროში“ ხანძრის შედეგად დაზარალებულებს ფინანსურ ინსტიტუტებთან უშუამდგომლებს, რათა შესაძლებელი გახდეს საბანკო ვალდებულებების გადავადება.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის, მთავრობის ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლებისა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან შეხვედრისას გადაწყდა.

შეხვედრაზე ასევე გადაწყდა, რომ მოქალაქეებს, რომლებსაც ხანძრის გამო საქონელი დაეწვათ, საკუთარ ნაწილში, მაქსიმალურ შეღავათს გაუწევს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მნიშვნელოვანია ყველა შესაბამისი ინსტიტუტის ძალისხმევის კონსოლიდაცია, რათა დაზარალებულებს ტვირთი მაქსიმალურად შეუმსუბუქდეთ.

– ბანკებმა გამოთქვეს მზადყოფნა, რომ „ბავშვთა სამყაროში“ ხანძრის შედეგად დაზარალებულების საბანკო ვალდებულებებთან დაკავშირებით გააკეთონ ის, რისი გაკეთებაც ამ პირობებში შესაძლებელია.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ კომერციული ბანკების წარმომადგენლებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განუცხადა.

მისივე თქმით, აღნიშნული საკითხი დაისვა ბანკების წარმომადგენლებთან და ეროვნულ ბანკს უნდა, რომ მსესხებლებს შუამდგომლობა გაუწიოს კომერციულ ბანკებთან იმ შესაძლებლობების ფარგლებში, რომელიც ბანკებს აქვთ, რათა შეძლებისდაგვარად გადაუვადონ ასეთი სესხები.

როგორც კობა გვენეტაძემ აღნიშნა, ეს არის როგორც მსესხებლის, ისე კომერციული ბანკების ინტერესებში.

– კომერციულმა ბანკებმა გამოთქვეს მზადყოფნა, ამ შემთხვევაში მაქსიმალურად გაითვალისწინონ ეს სიძნელეები და გააკეთონ ის, რისი გაკეთებაც ამ პირობებში შესაძლებელია, – განაცხადა გვენეტაძემ.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

**მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6**

**☎ 577-29-37-41, 247-58-83**

# „კეთილდღეობა ვალების ხარჯზე არ უნდა გავზარდოთ“

რამდენად სწორად მოხდა მონეტარული პოლიტიკის თუნდაც მცირედით გამკაცრება და რა შედეგს მოიტანს გალარების პროგრამა? ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „ეკონომისტის დრო“ საქართველოს ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა, საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიის ხელმძღვანელმა ლექსო ალექსიშვილმა ისაუბრა.

***– მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი გაიზარდა 6,75%-მდე. ამ ნაბიჯით, მოსახლეობას, რომელსაც სესხი ჰქონდა ლარში და მიბმული იყო რეფინანსირების განაკვეთთან, გაუძვირდა საპროცენტო განაკვეთი. რა გავლენას მოახდენს ეს ინფლაციაზე, ეკონომიკის ზრდაზე და რამდენად დროული და ადეკვატურია ეს გადაწყვეტილება?***

– რეფინანსირების განაკვეთის ზრდა ნამდვილად გამოიწვევს იმ მსესხებლებისთვის პროცენტის გაძვირებას, რომლებსაც სესხი რეფინანსირების განაკვეთზე აქვთ მიბმული. ეროვნული ბანკის ამ გადაწყვეტილების მთავარი მიზანი სწორედ ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის შენარჩუნება იყო.

ინფლაციის ზრდის მოლოდინი სხვადასხვა ფაქტორიდან გამომდინარეობს და ამას მხოლოდ აქციზის ზრდას ვერ დავაბრალებთ. ძირითადად, ეს სავალუტო კურსის ცვლილების შედეგად იმპორტზე ფასების მატებამ გამოიწვია. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ცხადია, რომ გვექნება წელს ინფლაციის ზრდა, რასაც ეროვნულმა ბანკმა და ფინანსთა სამინისტრომ ადეკვატური ნაბიჯებით უნდა უპასუხოს.

ადეკვატური ნაბიჯებია – სებმა უნდა გაამკაცროს მონეტარული პოლიტიკა, ფინანსთა სამინისტრომ კი ამ გამოწვევას ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებლის კონტროლით უნდა უპასუხოს.

***– 2016 წელს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი იყო 5%, მაგრამ საბოლოოდ ჩვენ გვქონდა 1,8%-იან ზრდა. წელს არის 4%-იანი ინფლაცია დაგეგმილი, მაგრამ უკვე საუბარია იმაზე, რომ ფასები უფრო მეტად გაიზრდება. რამდენად ადეკვატურად რეაგირებს სებ-ი ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ მოვლენებზე?***

– ეროვნული ბანკის მიზანი უნდა იყოს ფასების ზრდის სტაბილურობა და მისი კონტროლი. ეროვნული ბანკი ვალდებულია, რომ აწარმოოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და მიჰყვეს იმ პროცესს, რომელიც მას დღის წესრიგში უდგას.



რეფინანსირების სესხის გაზრდით ეროვნულმა ბანკმა უპასუხა იმას, რომ ინფლაცია იყოს შენარჩუნებული მიზნობრივი მაჩვენებლის ფარგლებში, მაგრამ რეფინანსირების განაკვეთის განსაკუთრებული ზრდა აფერხებს ეკონომიკის ზრდას.

ფული ძვირდება, ეს კი ანელებს ეკონომიკის ზრდას, ეკონომიკის სუბიექტებს სჭირდებათ იაფი ფული, რათა მათ თავიანთი ინიციატივები განახორციელონ. სწორედ აქ დგება საკითხი უკვე მეორე მხრიდან, ანუ ფისკალური ნაწილიდან, თუ როგორ ვუპასუხებთ ამ გამოწვევას.

გამოწვევას კი უნდა უპასუხოს ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრულ მაჩვენებელში ჩატევით, რომ დეფიციტი მაღალი არ იყოს. ფისკალური თვალსაზრისით ეს წელი ძალიან რთული იქნება.

***– გალარება მაკროეკონიმიკური კუთხით რაიმე შედეგს თუ მოიტანს? ანალიტიკოსების ნაწილი ამბობს, რომ ამას შედეგი არ ექნება.***

– ლარის კურსი არის არა მიზეზი, არამედ უკვე კონკრეტული შედეგი, ანუ სიმპტომი, რომელიც ეკონომიკაში არსებობს. ეკონომიკურ სივრცეში მოქმედი სუბიექტების მოქმედებები დამოკიდებულია ძალიან მკაფიო რაციონალურ გადაწყვეტილებაზე. ეს რაციონალური გადაწყვეტილებები არის დაბალი რისკები. თუკი სუბიექტები განსაზღვრავენ, რომ რომელიმე ვალუტაში ოპერაციების გატარებაში რისკები დაბალია, მოძებნიან გამოსავალს და მაინც ამ ვალუტაში განახორციელებენ ოპერაციებს.

გალარება არის ერთჯერადი ხასიათის, ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმისთვის, რომ ჩვენ ჩვენივე მოქალაქეებს ვასწავლოთ ასეთი ტიპის ოპერაციების განხორციელების წესები, ვგულისხმობ ეროვნულ ვალუტაში სესხების აღებას.

ბუნებრივია, რომ თუ ადამიანს შემოსავალი აქვს ლარში, მისთვის მნიშვნელოვანია, რომ სესხიც ჰქონდეს ლარში, ის ამით სავალუტო რისკს იმცირებს, მაგრამ გალარება არც ერთ შემთხვევაში ეკონომიკის ზრდის უზრუნველყოფას ვერ მოახდენს. ცოტა სიღრმისეულად უნდა დავფიქრდეთ, როგორ შეიძლება სავალუტო რისკები შევამციროთ ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორც საქართველოა.

მთავრობის ნებისმიერი გადაწყვეტილება, იქნება ეს მონეტარული, ფისკალური თუ ა.შ. უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ შემდეგ რამეს – მაღალი მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა და დაბალი ინფლაციის უზრუნველყოფა. ეს არის მთავარი ამოსავალი წერტილი. ჩვენთვის მთავარი პრობლემაა სიღარიბე და სიღატაკე, დანარჩენიც აქედან გამომდინარეობს.

***– სად არის ზღვარი ეკონომიკის დაჩქარებასა და სტაბილურობას შორის?***

– როდესაც ესტონურ მოდელზე გადავედით, შევამცირეთ საგადასახადო წნეხი, თუმცა ამავე დროს გავზარდეთ სხვადასხვა გადასახადი, ვგულისხმობ აქციზების ზრდას. არადა, ესტონურ მოდელზე გადასვლას ბიზნესისთვის ხარჯების შემცირება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

სახელმწიფოს ეკონომიკის მართვის მოდელი ოჯახის ეკონომიკის მართვის მოდელივით არის. როდესაც ოჯახი არის ღარიბი, მას კეთილდღეობის ზრდისთვის სხვადასხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილება სჭირდება. აქ ისმის კითხვა, რის ხარჯზე უნდა მოხდეს ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება, როდესაც შემოსავალი არ გაქვს? თუ კეთილდღეობას ვალების ხარჯზე გავზრდით, ეს მომავალში აუცილებლად ცუდად შემოგვიტრიალდება.

# არჩილ თალაკვაძე: „ჩვენ გვექნება სისტემა, რომელიც რეალურად დაიცავს საქართველოს მოქალაქეების უსაფრთხოებას, მათ სიცოცხლეს და სტაბილურობას ქვეყანაში“



– ფარული მოსმენების განსახორციელებლად ახალი დამოუკიდებელი უწყება შეიქმნება, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება პარლამენტისა და პრემიერ-მინისტრის წინაშე.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ მოსმენების შესახებ ახალი კანონის კომენტირებისას განაცხადა.

– პირველ რიგში მინდა მადლობა გადავუხადო არასამთავრობო ორგანიზაციებს და ექსპერტებს, ასევე პარლამენტის იმ წევრებს, რომლებმაც დიდი სამუშაო გასწიეს, რომ დღეს ჩვენ ეს პაკეტი წარგვედგინა და უახლოეს პერიოდში მოვახდინოთ მისი ინიცირება.

ჩვენ გვექნება სისტემა, რომელიც რეალურად დაიცავს საქართველოს მოქალაქეების უსაფრთხოებას, მათ სიცოცხლეს და სტაბილურობას ქვეყანაში, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

მისი თქმით, ინიცირებული იქნება კანონთა ახალი პაკეტი ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ და შემუშავებული დებულებები მაქსიმალურად იქნება შესაბამისობაში საკონსტიტუციო სასამართლოს ცნობილ გადაწყვეტილებაში მოცემულ მოთხოვნებთან.

– მნიშვნელოვანია, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ფუნქცია გამოიყოფა ცალკე და გადაეცემა სსიპ-ს, რომელსაც თვითონ არ ექნება საგამოძიებო ფუნქციები და საგამოძიებო მიზნებისთვის ინფორმაციის გამოყენების საჭიროება, რაც ასევე იყო ერთ-ერთი მოთხოვნა ამ რეფორმისთვის, – აღნიშნა დეპუტატმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ ძლიერდება კონტროლის და ანგარიშვალდებულების მექანიზმები.

– ბუნებრივია, აქ იგულისხმება საპარლამენტო კონტროლი, პარლამენტის ნდობის ჯგუფის კიდევ უფრო გაუმჯობესებული მანდატი. აქ არის პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორი და აქ არის ანგარიშვალდებულების სხვა მექანიზმები.

ბუნებრივია, ჩვენ მივიღებთ მაღალ ხარისხს ანგარიშვალდებულების და ამ სისტემით დაცული იქნება ფარული მიყურადება ნებისმიერი გარე ჩარევისგან უფრო მეტად, ვიდრე ეს იყო დღემდე და ეს ქმნის უფრო მეტ გარანტიებს, რომ ვინმეს პირად ცხოვრებაში ჩარევის რისკი შემცირდეს და დავიდეს მინიმუმამდე, – განაცხადა ბ-მა თალაკვაძემ.

ეს ცვლილებები მომზადებულია იმგვარად, რომ ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები არ დაზარალდეს მაშინ, როცა დღეს საქართველო რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური ქვეყნის სტატუსით აკეთებს პოზიციონირებას, როცა ჩვენი პრიორიტეტი არის სტაბილური განვითარება, სწრაფი ეკონომიკური განვითარება და როდესაც საქართველოს უყურებს არაერთი მნიშვნელოვანი პარტნიორი და ინვესტორი.

– ჩვენ სამუშაო პროცესის შედეგად ძირითადად ამ კონსტრუქციაზე ვთანხმდებით და წარვადგინეთ ეს კონსტრუქცია, თუმცა კანონშემოქმედებითი პროცესი, რომელიც ელოდება ამ პაკეტს, ჯერ კიდევ წინ არის და მთელი რიგი დეტალები, რაზეც თუნდაც შეკითხვები აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ან შეიძლება კრიტიკული შენიშვნები ჰქონდეთ სხვა დაინტერესებულ მხარეებს, ჯერ კიდევ წინ გვაქვს და ჩვენ პარლამენტში ძალიან საინტერესო პროცესი გველოდება, – აღნიშნა არჩილ თალაკვაძემ.

* * *

არასამთავრობო ორგანიზაციებმა დასვეს ძალიან მწვავე შეკითხვები, მაგალითად, თუ როგორი იქნება ამ ორგანოს ხელმძღვანელის დანიშვნის წესი, როგორი იქნება კონტროლის მექანიზმები ნდობის ჯგუფის მხრიდან, რა ინტენსივობით მოხდება ეს.

ასევე დაისვა შეკითხვები ტექნიკურ რეგლამენტთან და იმ საშუალებებთან დაკავშირებით, როლებიც შეიძლება მომავალში იქნას გამოყენებული. ასევე დაისვა შეკითხვები, თუ ვის ეკუთვნის ეს სსიპ.

ბუნებრივია, ამ შეკითხვებზე არსებობს პასუხებიც.

– ვთქვათ, თუ შეკითხვა არის, ვის ეკუთვნის სსიპ, ის იქნება სახელმწიფოს მიერ შექმნილი, მაგრამ იქნება დამოუკიდებელი. ანგარიშვალდებული იქნება პარლამენტთან, პრემიერ-მინისტრთან. ჩვენ სწორედ ასე მოვახდენთ ამ ცვლილებების მიღებას განხილვების შემდეგ. თუმცა, ამ ნიუანსებთან დაკავშირებით წინ გვაქვს კანონშემოქმედებითი პროცესი და არ არის გამორიცხული, კონკრეტულ დეტალებზე სხვა მოსაზრებები ჩვენ მივიღოთ უკვე პარლამენტში, – განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა.

მისი აზრით, ხელმძღვანელი პირის არჩევის წესი უზრუნველყოფს ჩართულობას. ამას აკეთებს სპეციალური კომისია, რომელიც შემდეგ წარუდგენს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერი შემდგომში დანიშნავს.

– ეს უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც აქვს პროფესიული გამოცდილება, სანდოობის მაღალი ხარისხი და ის უნარ-ჩვევები, რაც საჭიროა, რომ გაუძლვეს ამ ტიპის ორგანიზაციას, – აღნიშნა არჩილ თალაკვაძემ.

მან ხაზი გაუსვა, რომ არასამთავრობოები მოითხოვენ ანგარიშვალდებულების, დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს და კონტროლის ეფექტურ მექანიზმებს.

– ჩვენ ვცადეთ, რომ ეს მოთხოვნები და ეს სტანდარტი დაგვეკმაყოფილებინა ამ პროექტით, – დასძინა დეპუტატმა.

# ტორბიორნ იაგლანდი: „ევროსაბჭო ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო მონიტორინგის დაშვების შესაძლებლობის ძიებას განაგრძობს“

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ შეხვედრა გამართა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივან ტორბიორნ იაგლანდთან, რომელიც საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება.

შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველოსა და ევროპის საბჭოს თანამშრომლობის საკითხები. ქართულმა მხარემ გენერალურ მდივანს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა მდგომარეობის კუთხით არსებული რთული ვითარების შესახებ. ყურადღება გამახვილდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგის მნიშვნელობაზე. როგორც გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, მნიშვნელოვანია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებობდეს მონიტორინგის საერთაშორისო მექანიზმი.

– ძალიან მნიშვნელოვანია ადგილზე ჩვენი ყოფნა, რაც მიმდინარე მოვლენების დაფიქსირების შესაძლებლობას მოგვცემს. ამ საკითხებს შეძლებისდაგვარად კონსოლიდირებულ ანგარიშებში ვაშუქებ, რომლებსაც წელიწადში ორჯერ ვამზადებ. ჩვენ განვაგრძობთ საქმიანობას ამ მიმართულებით, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ ადგილზე მუდმივმოქმედი მონიტორინგის მისიას მივავლენთ, რომლის მეშვეობითაც იქ მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით უფრო ზუსტი ინფორმაციის მოპოვებას შევძლებთ. მე ევროპის საბჭოს ყველა წევრ ქვეყანას ვეუბნები, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ამ ტერიტორიებთან წვდომის მოპოვება,



იმისათვის, რომ თავად დავინახოთ და მოვისმინოთ ის, თუ რა ხდება იქ, – აღნიშნა იაგლანდმა.

მინისტრთან გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე ტორბიორნ იაგლანდმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ევროპის საბჭოს უპირობო მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. მან ასევე დაადასტურა, რომ საქართველოს საკითხი მუდმივად იქნება ევროპის საბჭოს პოლიტიკურ დღის წესრიგში და გაგრძელდება საქართველოში კონფლიქტის შესახებ გენერალური მდივნის კონსოლიდირებული ანგარიშის წარდგენა.

მხარეებმა ასევე განიხილეს 2016-2019 წლების ევროპის საბჭოს სამოქმედო გეგმა საქართველოსთვის, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში სამართლის უზენაესობის განმტკიცებას, ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფას და ომით დაშორიშორებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენის პროცესის ეფექტურ განხორციელებას.

შეხვედრაზე საუბარი ასევე შეეხო საქართველოს მიერ ბოლო წლების განმავლობაში გატარებულ და მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებს, აღინიშნა ქვეყნის წარმატებები ამ მიმართულებით. მხარეებმა ასევე ისაუბრეს 2016 წელს საქართველოში გამართულ საპარლამენტო არჩევნებზე, რაც დადებითად იქნა შეფასებული ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ.

– ჩვენ სრულად ვუჭერთ მხარს საქართველოს საერთო პოლიტიკას, რომელიც ემსახურება სტაბილური, ხალხის ნდობით აღჭურვილი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. ამასთან ერთად, საუკეთესო უსაფრთხოების პოლიტიკას დღევანდელ დღეს წარმოადგენს ურთიერთობების განვითარება დანარჩენ მსოფლიოსთან. ამიტომ მოხარული ვარ, რომ ევროპის საბჭოს აქვს საშუალება, მრავალმხრივ დაუჭიროს მხარი ამ რეფორმების პროცესს, როგორც სამოქმედო გეგმით არის გაწერილი. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყურადღებას ვამახვილებთ ისეთ სფეროებზე, სადაც შეგვიძლია შევასრულოთ მნიშვნელოვანი როლი რეფორმების განხორციელების, სასამართლო სისტემის რეფორმირების და, რა თქმა უნდა, კონსტიტუციური პროცესის თვალსაზრისით, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია. ჩვენ მოხარული ვართ, რომ საქართველოს მთავრობა და პარლამენტი მჭიდროდ თანამშრომლობს ვენეციის კომისიასთან, რომელიც ამ მიმართულებით ყველაზე პატივსაცემი ორგანოა მსოფლიოში, – განაცხადა ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა, რომელიც საქართველოს ოფიციალური ვიზიტით 2016 წლის 31 იანვარს ეწვია.

**ნიუსპრესი**

# მედიკამენტების ურეცეპტოდ გაცემის ფაქტები კიდევ 21 აფთიაქში გამოვლინდა



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა დაადგინა, რომ დიდი ოდენობით შემოსავლების მიღების მიზნით, საქართველოში მდებარე 21 სააფთიაქო დაწესებულებიდან მოქალაქეებზე, მათ შორის არასრულწლოვან პირებზე, სისტემატიურად ხდებოდა ფსიქოტროპული და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტების რეცეპტის გარეშე რეალიზაცია.

ამით დანაშაულებრივი საქმიანობის განმახორციელებელი პირები ხელს უწყობდნენ „სააფთიაქო ნარკომანიას“ და საფრთხეს უქმნიდნენ ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ყველა გამოვლენილ ობიექტში ჩატარდა ჩხრეკა, რის შედეგადაც ამოღებულ იქნა ფსიქოტროპული და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტების ქვეყანაში ლეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლის პირველი ნაწილით, დანაშაული, სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, ვადით, 1 დან 3 წლამდე.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური მთელი ქვეყნის მასშტაბით აგრძელებს მუშაობას, აღნიშნული დანაშაულებრივი საქმიანობის გამოვლენისა და „სააფთიაქო ნარკომანიის“ საბოლოოდ აღმოფხვრის მიზნით.

**ინტერპრესნიუსი**

# ირაკლი კობახიძე: „ყველაფერს გავაკეთებთ, რომ სტრასბურის სასამართლოში მოსამართლე ავირჩიოთ“



– ყველაფერს გავაკეთებთ, რომ სტრასბურის სასამართლოში მოსამართლე ავირჩიოთ და რაც მოხდა, არ განმეორდეს. პარლამენტი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში მოსამართლე ჰყავდეს.

ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განუცხადა.

კობახიძის თქმით, ის, რაც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის შესაბამის კომიტეტში მოხდა, აღარ უნდა განმეორდეს.

– ეს იყო მათ მიერ მისაღები გადაწყვეტილება. ჩვენ, რა თქმა უნდა, თანამშრომლობას გავაგრძელებთ იმისთვის, რომ კონკრეტულ კანდიდატებზე შევჯერდეთ და ასეთი რამ არ განმეორდეს.

ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ სათანადო პროცესის საფუძველზე ავირჩიოთ მოსამართლე სტრასბურის სასამართლოში. ამას პარლამენტი ყურადღებას დაუთმობს, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# მოსამართლემ კანიბალიზმის საქმე დახურა




კანიბალიზმის საქმის განხილვა დახურულ ფორმატში მოხდება. სასამართლო პროცესების დახურვის გადაწყვეტილება საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ გიორგი ებანოიძემ გუშინ მიიღო, რითაც დააკმაყოფილა სახელმწიფო ბრალდებისა და ერთ-ერთი ბრალდებულის, ირმა ყოჩიაშვილის ადვოკატის შუამდგომლობა.

პროცესის დახურვის შუამდგომლობას მხოლოდ ბრალდებული ბექა შენგელია არ დაეთანხმა.

როგორც მისმა ადვოკატმა განმარტა, დაცვის სტრატეგიიდან გამომდინარე, მათი ინტერესია, რომ პროცესი საჯარო იყოს. ბრალდებული და მისი ადვოკატი ასევე არ იზიარებენ პროკურორების განცხადებას, რომ საქმის განხილვისას გასაჯაროვდება გარკვეული დეტალები, რითაც კანონი დაირღვევა.

– იმაზე მეტი რა უნდა გაასაჯაროოთ, რაც წინა პროცესზე გაასაჯაროვეთ? – მიმართა ბრალდებულმა ბექა შენგელიამ პროკურორებს.

ამის მიუხედავად, მოსამართლემ დააკმაყოფილა ბრალდებისა და ბრალდებულ ირმა ყოჩიაშვილის ადვოკატის შუამდგომლობა სასამართლო განხილვების სრულად დახურვის თაობაზე.

**ინტერპრესნიუსი**

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ტრამპი: „ეს არ არის მუსლიმთა აკრძალვა“

## პრეზიდენტი მის კანონს განმარტავს



აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი უარყოფს, რომ მის მიერ საიმიგრაციო საკითხებზე ხელმოწერილი განკარგულება მუსლიმთა აშშ-ში შესვლის აკრძალვაა.

აღნიშნული განცხადება ტრამპმა 29 იანვარს გააკეთა.

– ამერიკა ემიგრანტების ამაყი ქვეყანაა, ჩვენ განვაგრძობთ მათ მიმართ თანაგრძნობის ჩვენებას, ვინც იჩაგრება, მაგრამ ამას ჩვენი მოქალაქეებისა და საზღვრების დაცვასთან ერთად გავაკეთებთ, – ნათქვამია აშშ-ის პრეზიდენტის განცხადებაში.

ტრამპმა განაცხადა, რომ მის მიერ მიღებული ზომები 2011 წელს პრეზიდენტ ობამას მიერ მიღებული ზომების მსგავსია, როდესაც ერაყიდან დევნილებისთვის ვიზების გაცემა 6 თვით აიკრძალა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ 7 ქვეყანა, რომელთა მოქალაქეებისთვის ვიზების გაცემა 90 დღით აიკრძალა, ჯერ კიდევ ობამას ადმინისტრაციის მიერ იყო განსაზღვრული.

– გარკვევით მინდა განვაცხადო, რომ ეს არ არის მუსლიმთა აკრძალვა როგორც მედია მოტყუებით იუწყება. ეს განკარგულება არ ეხება რელიგიას, არამედ ეხება ტერორიზმსა და ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების შენარჩუნებას, – აღნიშნა დონალდ ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტის განმარტებით, აშშ კვლავ გასცემს ვიზებს სიაში მოხვედრილი ქვეყნების მოქალაქეებზე მას შემდეგ, რაც გადაიხედება და განხორციელდება ყველაზე უსაფრთხო პოლიტიკა მომდევნო 90 დღის განმავლობაში.

---

ავსტრალია მხარს უჭერს ტრამპის საიმიგრაციო პოლიტიკას.

აღნიშნულის შესახებ ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯული ბიშოპმა განაცხადა.

– დარწმუნებული ვარ, რომ ორი ქვეყნის მთავრობები განაგრძობენ ერთმანეთის მხარდაჭერას მკაცრი საიმიგრაციო პოლიტიკის გატარებასა და საზღვრების დაცვაში, – აღნიშნა ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

მისი თქმით, ავსტრალიის მთავრობა აქტიურად თანამშრომლობს აშშ-ის ადმინისტრაციასთან და ოფიციალურ პირებთან, რათა ავსტრალიელებმა შეინარჩუნონ აშშ-ში გამგზავრების შესაძლებლობა, ხოლო ამერიკელებმა – ავსტრალიაში.

ავსტრალია დევნილების მიღებასთან დაკავშირებით მკაცრ პოლიტიკას ატარებს.

# კანადა: თავდასხმა მეჩეთზე



კვებეკში უცნობმა პირებმა მეჩეთზე თავდასხმა განახორციელეს.

ისინი ლოცვის დროს მეჩეთში შეიჭრნენ და ცეცხლი გახსნეს. შედეგად 6 ადამიანი დაიღუპა, 8 დაიჭრა.

პოლიციამ 3 ეჭვმიტანილი უკვე დააკავა. კანადის პრემიერმა ჯასტინ ტრიუდომ თავდასხმას ვანდალური აქტი უწოდა.

– ბოროტმოქმედნი აუცილებლად დაისჯებიან, – აღუთქვა მოსახლეობას პრემიერმა.

# ტერეზა მეი ანკარაში ჩავიდა



ანკარაში ბრიტანეთის პრემიერი ტერეზა მეი ჩავიდა.

ის პრეზიდენტმა ერდოღანმა მიიღო. განხილულ იქნა სირიაში მიმდინარე პროცესები, აგრეთვე კვიპროსის პრობლემის დარეგულირებასთან დაკავშირებული საკითხები.

– სირიაში ჩვენ და ბრიტანელები მჭიდროდ ვითანამშრომლებთ, – განაცხადა ერდოღანმა.

მიღწეულ იქნა აგრეთვე შეთანხმება ვაჭრობის გაფართოების შესახებ. თუკი მანამდე ორ ქვეყანას შორის საქონელბრუნვა 15 მილიარდ დოლარს აღწევდა, ახლა ნავარაუდევია მისი 20 მილიარდამდე გაზრდა.

– თურქეთ-ბრიტანეთს შორის თანამშრომლობა გაღრმავდება, – თქვა ერდოღანმა.

# საფრანგეთი: ამონი სოციალისტების პრეტენდენტი გახდა




საფრანგეთის სოციალისტურ პარტიაში პრაიმერიზი დასრულდა.

გაიმარჯვა ბენუა ამონმა, რომელიც პრეზიდენტობის პრეტენდენტი გახდება.

უკვე ცნობილია, რომ პრეზიდენტობაზე კენჭს იყრიან ფრანსუა ფიიონი, (რესპუბლიკელები) და მარინ ლე პენი (ნაციონალური ფრონტი). სოციალისტებიდან მათი კონკურენტი ბენუა ამონი იქნება.

# შეტაკებები ჩეჩნეთში



ჩეჩნეთის ქალაქ შალიში პოლიციასა და პარტიზანებს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა.

დაიღუპა 3 პარტიზანი და 2 პოლიციელი.

– მოკლულები ისლამური სახელმწიფოს წევრები იყვნენ, – განაცხადა ჩეჩნეთის ხელისუფლების მეთაურმა რამზან კადიროვმა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*



# ტურმალინის საცვლები



ტურმალინს გააჩნია ბუნებრივი (bioenergy) სამკურნალო თვისებები. იგი ერთადერთი მინერალია, რომელსაც გააჩნია მაგნიტური ველი. ტურმალინი ასხივებს ინფრაწითელ სხივებს, რაც ათავისუფლებს თავისუფალ რადიკალებს.

ტურმალინი წერტილოვნად არის დატანილი ქვედა საცვლის ზედაპირზე. შედეგად, აქტიურდება სისხლის მიმოქცევა, რაც ხელს უწყობს უჯრედების ჟანგბადით მომარაგებას, ასტიმულირებენ ნერვულ დაბოლოებებს, .აუმჯობესებს სისხლძარღვთა გამტარობას, აქვს ანთების საწინააღმდეგო მოქმედება, ებრძვის 650-ზე მეტი სახეობის ბაქტერიას.

ტურმალინის ნანო ზედაპირი აღადგენს შარდსასქესო სისტემის ფუნქციას, ცისტიტი, ურეთრიტი, უნებლიე და ხშირი შარდვა, წვა და ტკივილი შარდვის დროს, ფეხების დაბუჟება, თირკმლის დაავადებები (ნეფრიტი, პიელონეფრიტი), კუჭის წყლულები, ყაბზობა, მეტეორიზმი, ბუასილი. ეფექტურად მოქმედებს ღვიძლზე, ნაღვლის ბუშტზე, ამცირებს კუნთების ტკივილს, საჯდომის ნერვის ანთებას, ხერხემლისა და წელის მიდამოს ოსტეოქონდროზს. აქვს ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი. უკუგანვითარებას იწყებენ ფარული ინფექციები, სქესობრივი გზით გადამდები ვენერიული დაავადებები (ქლამიდიოზი, ტრიქომონიაზი, გენიტალური ჰერპესი და სხვა).

ქალბატონებისათვის რეკომენდებულია ტრუსის ტარება, როდესაც აღინიშნება სასქესო მიდამოების წვა და ქავილი, გამონადენი, ვაგინიტი, ენდომეტრიტი, მტკივნეული მენსტრუაცია, კლიმაქსის პერიოდი, სხვადასხვა გინეკოლოგიური დაავადებები, საშვილოსნოს ყელის ეროზია, საშვილოსნოს ფიბრომა, კისტა, ფრიგიდულობა, აღადგენს სექსუალურ ლტოლვას, აღადგენს ჰორმონალურ ბალანსს, რეპროდუქციულ სისტემას.

მამაკაცებისათვის რეკომენდებულია ტრუსის ტარება, როდესაც აღინიშნება მწვავე და ქრონიკული პროსტატიტი, წვა და ტკივილი შარდვის დროს, სასქესო მიდამოების წვა და ქავილი, აღადგენს და აძლიერებს პოტენციას სექსუალური ფუნქციის დაქვეითების დროს, აღადგენს სექსუალურ ლტოლვას, აუმჯობესებს სათესლე ჯირკვლების მდგომარეობას.

**შემადგენლობა**

ტურმალინის ძაფი 78 %, აბრეშუმი, ტურმალინის მიკროკრისტალები, ანტიალერგიული, კომფორტული, სასიამოვნო და უვნებელი მასალა.

ტურმალინის საცვლებს რეკომენდაციას უწევენ პროქტოლოგები, გინეკოლოგები. ნეფროლოგები.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79, ტელ: 2 182 186**
**ქ.ზესტაფონი, რუსთაველის 158**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996**
**მიწოდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე**
**ანგარიშის ნომერი:** GE79BG0000000327063600 **ი.ბ**

**ფასი 35 ლარი**



## კალეიდოსკოპი

# დანაშაულის ადგილზე გადაღებულმა სელფიმ ბრაკონიერები გასცა



დანაშაულის ადგილზე გადაღებული სელფი დაეხმარა ინდოელ პოლიციელებს ბრაკონიერების პოვნაში, რომლებმაც მარტორქა კაზირანგის ეროვნულ პარკში მოკლეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ინდური გამოცემა ავრცელებს.

გასული წლის 18 ივნისს პარკის თანამშრომლებმა მოკლული მარტორქა აღმოაჩინეს, რომელსაც რქა მოჭრილი ჰქონდა. იქვე ეყარა 303 კალიბრის იარაღის ტყვიის გილზები.

რამდენიმე თვის შემდეგ პოლიციის ინფორმატორებმა მოახერხეს მოეპოვებინათ სურათები, რომელზეც ასახული იყო ორი მამაკაცი, რომლებიც ეროვნულ პარკში პოზირებდნენ ავტომატური შაშხანით, რომელიც ხმის მაყუჩით იყო აღჭურვილი.

მონადირეების ვინაობის დადგენა მოხერხდა. აღმოჩნდა, რომ წარსულში ისინი უკვე გადიოდნენ ბრაკონიერობის საქმეზე.

– ფოტოსურათები დაგვეხმარა მათ დაჭერაში, ასევე დაამტკიცა მათი ამ საქმესთან კავშირიც, – განაცხადა დასახლება ჯეიკხალაბანდხას პოლიციის განყოფილების უფროსმა დებენ ბორამ.

ეჭვმიტანილები დაკავებულები არიან და მათ უკვე აღიარეს ჩადენილი დანაშაული.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*



**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

## მკურნალობა

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# გიორგი მაკარიძე პორტუგალიის თასის მფლობელია



ქართველი ფეხბურთელებისგან ტიტულებს გადავეჩვიეთ, მაგრამ ამჯერად გიორგი მაკარიძემ დაგვდო პატივი – პორტუგალიის ლიგის თასის ფინალში ქართველი მეკარის მორეირენშემ 1:0 დაამარცხა ბრაგა და თასის მფლობელი გახდა.

მაკარიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და საკუთარი გუნდის კარი მშრალად შეინახა, ერთადერთი გოლი კი პირველი ტაიმის მიწურულს კაუემ პენალტით გაიტანა.

გეტყვით იმასაც, რომ ფინალამდე მორეირენშემ გათამაშებიდან პორტუგალიური ფეხბურთის 2 გრანდი – პორტუ და ბენფიკა გამოთიშა და ეს ქართველი მეკარის ბრწყინვალე თამაშის წყალობით მოახერხა.

# ბუდუ ზივზივაძე კარიერას დანიაში გააგრძელებს



დანიის ჩემპიონატს კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი შეემატა – საქართველოს გარდამავალი საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, სამტრედიას შემტევი ბუდუ ზივზივაძე კარიერას დანიურ ესბიერგში გააგრძელებს.

ზივზივაძემ დანიურ კლუბთან 2,5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და ესბიერგში 2019 წლის 30 ივნისამდე ითამაშებს.

ესბიერგის სპორტულმა დირექტორმა ტედ ვან ლიუვენმა ბუდუ ზივზივაძე ტოტენჰემის ჰოლანდიელ თავდამსხმელს ვინსენტ იენსენს შეადარა და აღნიშნა, რომ ჰოლანდიელმაც სწორედ ქართველი თავდამსხმელივით დაიწყო კარიერა.

– მიუხედავად იმისა, რომ ზივზივაძე ამპლუით ცენტრალური ფორვარდია, მას მარცხენა ფლანგზეც შეუძლია თამაში. ის სწრაფი, ტექნიკური და ფიზიკურად ძლიერი ფეხბურთელია, რომელსაც კარგი მარცხენა აქვს. ზივზივაძე ძალიან გვაგონებს ტოტენჰემის შემტევ იენსენს.

შეგახსენებთ, რომ ესბიერგში ითამაშებს ესპანური ხიმნასტიკიდან იჯარის წესით გადასული ოთარ კაკაბაძე, ხოლო დანიის ჩემპიონატში ასევე ვიხილავთ მათე ვაწაძეს (ვიბორგი) და დავით სხირტლაძეს (სილკებორგი).

ესბიერგი 19 ქულით 14-გუნდიან ჩემპიონატში მე-12 ადგილზეა.

# პეტრიაშვილისა და ფარტენაძის ოქროს მედლები



საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა პარიზის საერთაშორისო ტურნირზე თავისი გამოსვლა 2 ოქროს მედლით დაასრულა.

ჩვენი ნაკრები ემზარ ბედინეიშვილისა და ნუგზარ სხირელის ხელმძღვანელობით გაემგზავრა, ტურნირის გამარჯვებულები კი შოთა ფარტენაძე (61) და გენო პეტრიაშვილი (125) გახდნენ.

ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანების ეგიდით გამართულ საერთაშორისო შეჯიბრზე 15 ქვეყნის ნაკრებმა მიიღო მონაწილეობა.

ევროპის მოქმედმა ჩემპიონმა და რიო დე ჟანეიროს ოლიმპიური თამაშების პრიზიორმა გენო პეტრიაშვილმა ფინალში დამაჯერებლად მოუგო უნგრელ დანიელ ლიგეტის 8:2, მანამდე კი ამერიკელები ბობი ტელფორდი და ზაკ რეი ქულების აშკარა უპირატესობით 11:0 და 10:0 დაამარცხა.

ფარტენაძემ ჯამში 4 შეხვედრა ჩაატარა, ფრანგ ქუენტინ სტიკერს 8:6, შვეიცარიელ რანგი ვოკს 4:1 და უნგრელ იოსეფ მოლნარს 10:0 სძლია, ფინალში კი ამერიკელი ჯეისონ ნესსი 9:2 დაამარცხა.

მათ გარდა ფრანგულ ხალიჩაზე ლევან მურცხავაძე (57), ავთანდილ კენჭაძე (74) და დავით ტლაშაძე (74) გავიდნენ, თუმცა მედლის გარეშე დაასრულეს ასპარეზობა.

# ფაჩულია და გოლდენ სტეიტი ბეწვის ხიდზე გაიარნენ

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები



ზაზა ფაჩულიას გოლდენ სტეიტმა ნბა-ს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდ ლოს ანჯელეს კლიპერსთან შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ, პორტლენდში ბეწვის ხიდზე გაიარა. ამერიკის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქთა გუნდების დერბი საკმაოდ დაძაბული გამოდგა.

113:111 ოკლენდელებმა გაიმარჯვეს და ლიგის ლიდერობა გაიმყარეს.

ბოლო წამზე ოკლენდელები მარცხს გადაურჩნენ. საფინალო სირენამდე 5 წამით ადრე გოლდენ სტეიტი 2 ქულით იგებდა და ბურთი საკუთარი ფარის ქვეშიდან შემოჰქონდა, როცა კევინ დიურანტმა ბურთის მიღების მიზნით მეტოქე აკრძალული ხერხით მოიშორა. ოკლენდელთა ლიდერი დააჯარიმეს და ბურთი პორტლენდელებს გადასცეს. ევან ტერნერმა პოტენციურად გამარჯვების სამქულიანი სულ მარტომ ესროლა, მაგრამ ააცილა, დამატებაზე ვერც მეისონ პლამლიმ ივარგა და შეხვედრა სტუმართა გამარჯვებით დასრულდა.

ზაზა ფაჩულიასთვის ეს გახლდათ მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი მატჩი. ქართველმა ცენტრმა 24 წუთი ითამაშა და 14 ქულა, 5 მოხსნა, 4 ჩაჭრა და 2 პასი მოაგროვა. ზაზამ 5-დან 3 ორქულიანი და 10-დან 8 საჯარიმო ჩააგდო.

არ უთამაშია ოკლენდელთა ერთ-ერთ ლიდერ სტეფ კარის, რომელიც გაციებულია და სეზონში პირველი შეხვედრა გამოტოვა. ფაჩულიაზე მეტი ქულა კი გოლდენსტეიტელთაგან მხოლოდ კევინ დიურანტმა (33) და კლეი ტომპსონმა (27) მოაგროვეს.

41 მოგებითა და 7 მარცხით გოლდენ სტეიტს ლიგის საუკეთესო შედეგი აქვს. მეომრები მორიგ მატჩში შარლოტ ჰორნეთსს უმასპინძლებენ.

ესპანეთის ჩემპიონატში მარცხი განიცადა ორივე „ქართულმა“ გუნდმა: გიორგი შერმადინისა და ბექა ბურჯანაძის ანდორამ ბადალონაში ხუვენტუდთან 59:74 წააგო, ხოლო თორნიკე შენგელიას ბასკონია შინ ბარსელონასთან 84:92 დამარცხდა. არადა, ბასკებმა ორიოდე დღის წინ იმავე ბარსელონა ევროლიგაზე სტუმრად გაანადგურეს.

შენგელიას ტრავმა აწუხებს და უკვე 2 კვირაა არ თამაშობს. რაც შეეხება ანდორას ქართველებს, გიორგი შერმადინი საკუთარ გუნდში საუკეთესო იყო.

გიორგიმ ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 23 წუთში 12 ქულა, 3 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 2 დაფარება მოაგროვა. ქართველმა ცენტრმა 7-დან 5 ორქულიანი და 3-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. გიორგის სარგებლიანობის კოეფიციენტი 15-ს გაუტოლდა, რაც სტუმართა რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი გახლდათ.

ბურჯანაძემ მოედანზე 19 წუთი გაატარა და 4 ქულა და 4 მოხსნა მიითვალა. ბექამ სამქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო გამოიყენა 3 ორქულიანი ააცილა, ბურთი 2-ჯერ დაკარგა, ერთხელ დაჯარიმდა, მასზე კი თამაშის წესები 2-ჯერ დაირღვა.

ანდორას 10 მოგება და 8 მარცხი აქვს და მე-7 ადგილზეა, მომდევნო მატჩს კი შინ, თორნიკე შენგელიას ბასკონიასთან ჩაატარებს, რომელიც 12 მოგებითა და 6 მარცხით მე-5 ადგილზეა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ამერიკელი ნატურალიზებული კალათბურთელი, მაიკლ დიქსონი წარმატებულ ასპარეზობას განაგრძობს. მისმა აეკ-მა საბერძნეთის ეროვნულ ჩემპიონატში მორიგი შეხვედრა მოიგო, რაშიც დიქსონმა სოლიდური წილი დაიდო.

ათენელები სტუმრად ლავრიოს შეხვდნენ და 87:84 სძლიეს.

დიქსონი სასტარტო ხუთეულში იყო და 22 წუთში 17 ქულა, 3 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა. მაიკლმა 6-დან 4 ორქულიანი, 4-დან 2 სამქულიანი და 3-ვე საჯარიმო ჩააგდო.

დიქსონის გუნდს 12 მოგების წილად 3 მარცხი აქვს და საბერძნეთის ჩემპიონატის ცხრილში მე-3 ადგილზეა. მის წინ ელადის მარადმწვანე ლიდერები – ოლიმპიაკოსი და პანათინაიკოსი არიან.

აეკ-ი მომდევნო მატჩს შინ კიმისთან გამართავს.

# კრიშტიანუ რონალდუ: „არ ვიცი, რატომ მისტვენდნენ“



მადრიდის რეალმა ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში 3:0 დაამარცხა სან სებასტიანის რეალ სოსიედადი. ბერნაბეუზე შეკრებილი პუბლიკა მხარს მხურვალედ უჭერდა გუნდს, მაგრამ კრიშტიანო რონალდუს მიმართ სტვენა გაისმოდა.

ცხადია, თავად ფეხბურთელი სოსიედადთან მატჩის შემდეგ უკმაყოფილო იყო:

– ვერ გავიგე, ჩემ მიმართ რა ამოძრავებდათ გულშემატკივრებს. მატჩის დაწყებამდე რეალის ქომაგებს მივმართე და ვთხოვე, რომ ჩვენთვის მხარი დაეჭირათ, ვინაიდან უმნიშვნელოვანესი მატჩი გვქონდა, სადაც 3 ქულის მოპოვება ჰაერივით გვესაჭიროებოდა. გუნდს მხარდაჭერა ნამდვილად არ აკლდა, მაგრამ მე პირადად თხოვნა არ შემისრულეს.

ნამდვილად არ მესმის, რატომ მისტვენდა პუბლიკა. საკუთარი თამაშით კმაყოფილი ვარ. გოლის გატანა და საგოლე გადაცემის გაკეთება მოვახერხე და ვთვლი, რომ გუნდის გამარჯვებაში ჩემი წვლილი შევიტანე. ვერასდროს გამტეხავს გარკვეული ჯგუფების წინააღმდეგობა, ვინაიდან შინაგანად ძლიერი ვარ, თუმცა არ მესიამოვნა, როდესაც მსგავსი ფაქტი დაფიქსირდა.

# კონტეს ვიდალი უნდა



ლონდონის ჩელსის მთავარი მწვრთნელი ანტონიო კონტე ბაიერნის ჩილელი ნახევარმცველით არტურო ვიდალითაა დაინტერესებული.

ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დროს ვიდალის ჩელსიში გადასვლის შანსი აღარ არსებობს. ერთია, ანტონიო კონტე უკვე დაეკონტაქტა ფეხბურთელს და იმედოვნებს, რომ ზაფხულში ვიდალი ლონდონური კლუბის რიგებს შეუერთდება.

იტალიელი მწვრთნელი ჩილელ ნახევარმცველს ტურინის იუვენტუსიდან იცნობს – არტურო ვიდალი „ბებერ ქალბატონს“ ლევერკუზენიდან შეუერთდა.

ამ დროისთვის ვიდალის სატრანსფერო კომპენსაციის თანხა დაახლოებით 65 მილიონ ევროს შეადგენს, ხოლო მიმდინარე კონტრაქტი ჩილელ ნახევარმცველს მიუნხენურ გრანდთან 2019 წლამდე აკავშირებს.

# შედეგები

**29 იანვარი**

**ფეხბურთი**

**აფრიკის ერთა თასი**

დრ.კონგო-განა ............ 1:2
ეგვიპტე-მაროკო ............ 1:0

**ინგლისი. ასოციაციის თასი**

მილუოლი-უოტფორდი ............ 1:0
ფულემი-ჰალი ............ 4:1
სატონი-ლიდსი ............ 1:0
მანჩესტერი-უიგანი ............ 4:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბეტისი-ბარსელონა ............ 1:1
ესპანიოლი-სევილია ............ 3:1
ბილბაო-ხიხონი ............ 2:1
რეალი-სოსიედადი ............ 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 19 | 14 | 4 | 1 | 51-17 | 46 |
| 2.ბარსელონა | 20 | 12 | 6 | 2 | 52-18 | 42 |
| 3.სევილია | 20 | 13 | 3 | 4 | 43-28 | 42 |
| 4.ატლეტიკო | 20 | 10 | 6 | 4 | 34-16 | 36 |
| 5.სოსიედადი | 20 | 11 | 2 | 7 | 31-28 | 35 |
| 6.ვილიარეალი | 20 | 9 | 7 | 4 | 28-14 | 34 |
| 7.ბილბაო | 20 | 9 | 5 | 6 | 26-22 | 32 |
| 8.სელტა | 20 | 9 | 3 | 8 | 31-33 | 30 |
| 9.ესპანიოლი | 20 | 7 | 8 | 5 | 28-27 | 29 |
| 10.ეიბარი | 20 | 8 | 5 | 7 | 28-29 | 29 |
| 11.ლას პალმასი | 19 | 6 | 7 | 6 | 28-30 | 25 |
| 12.ალავესი | 20 | 5 | 9 | 6 | 17-20 | 24 |
| 13.ბეტისი | 20 | 6 | 5 | 9 | 21-31 | 23 |
| 14.მალაგა | 20 | 5 | 7 | 8 | 28-34 | 22 |
| 15.ვალენსია | 18 | 5 | 4 | 9 | 28-33 | 19 |
| 16.დეპორტივო | 20 | 4 | 7 | 9 | 25-32 | 19 |
| 17.ლეგანესი | 20 | 4 | 6 | 10 | 15-33 | 18 |
| 18.ხიხონი | 20 | 3 | 4 | 13 | 20-39 | 13 |
| 19.ოსასუნა | 20 | 1 | 7 | 12 | 21-43 | 10 |
| 20.გრანადა | 20 | 1 | 7 | 12 | 16-44 | 10 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ნუმანსია-ხეტაფე ............ 2:0
კორდობა-მურსია ............ 1:1
ალმერია-ოვიედო ............ 3:0
მალიორკა-კადისი ............ 0:0
სარაგოსა-ლუგო ............ 1:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ფრაიბურგი-ჰერტა ............ 2:1
მაინცი-დორტმუნდი ............ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 18 | 14 | 3 | 1 | 42-11 | 45 |
| 2.ლაიპციგი | 18 | 13 | 3 | 2 | 36-16 | 42 |
| 3.აინტრახტი | 18 | 9 | 5 | 4 | 23-15 | 32 |
| 4.დორტმუნდი | 18 | 8 | 7 | 3 | 38-21 | 31 |
| 5.ჰოფენჰაიმი | 18 | 7 | 10 | 1 | 31-19 | 31 |
| 6.ჰერტა | 18 | 9 | 3 | 6 | 26-21 | 30 |
| 7.კიოლნი | 18 | 7 | 8 | 3 | 27-16 | 29 |
| 8.ფრაიბურგი | 18 | 8 | 2 | 8 | 24-30 | 26 |
| 9.ლევერკუზენი | 18 | 7 | 3 | 8 | 28-28 | 24 |
| 10.მაინცი | 18 | 6 | 4 | 8 | 27-31 | 22 |
| 11.შალკე | 18 | 6 | 3 | 9 | 21-20 | 21 |
| 12.აუგსბურგი | 18 | 5 | 6 | 7 | 15-20 | 21 |
| 13.გლადბახი | 18 | 5 | 5 | 8 | 18-27 | 20 |
| 14.ვოლფსბურგი | 18 | 5 | 4 | 9 | 17-26 | 19 |
| 15.ვერდერი | 18 | 4 | 4 | 10 | 22-38 | 16 |
| 16.ინგოლშტადტი | 18 | 4 | 3 | 11 | 17-29 | 15 |
| 17.ჰამბურგი | 18 | 3 | 4 | 11 | 15-35 | 13 |
| 18.დარმშტადტი | 18 | 2 | 3 | 13 | 12-36 | 9 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კარლსრუე-არმინია ............ 3:2
ნიურნბერგი-დინამო ............ 1:2
ზ.პაული-შტუტგარტი ............ 0:1

**იტალია. სერია ა**

ტორინო-ატალანტა ............ 1:1
კალიარი-ბოლონია ............ 1:1
კროტონე-ემპოლი ............ 4:1

*ემპოლის გოლი ლევან მჭედლიძემ გაიტანა*

ფიორენტინა-ჯენოა ............ 3:3
სასუოლო-იუვენტუსი ............ 0:2
უდინეზე-მილანი ............ 2:1
სამპდორია-რომა ............ 3:2
ნაპოლი-პალერმო ............ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 21 | 17 | 0 | 4 | 44-16 | 51 |
| 2.რომა | 22 | 15 | 2 | 5 | 44-21 | 47 |
| 3.ნაპოლი | 22 | 13 | 6 | 3 | 48-25 | 45 |
| 4.ინტერი | 22 | 13 | 3 | 6 | 37-23 | 42 |
| 5.ლაციო | 22 | 12 | 4 | 6 | 35-25 | 40 |
| 6.ატალანტა | 22 | 12 | 3 | 7 | 34-25 | 39 |
| 7.მილანი | 21 | 11 | 4 | 6 | 32-26 | 37 |
| 8.ფიორენტინა | 21 | 9 | 7 | 5 | 36-28 | 34 |
| 9.ტორინო | 22 | 8 | 7 | 7 | 39-32 | 31 |
| 10.უდინეზე | 22 | 8 | 4 | 10 | 27-29 | 28 |
| 11.კიევო | 22 | 8 | 4 | 10 | 22-30 | 28 |
| 12.ბოლონია | 21 | 7 | 6 | 8 | 21-26 | 27 |
| 13.სამპდორია | 22 | 7 | 6 | 9 | 25-29 | 27 |
| 14.კალიარი | 22 | 8 | 3 | 11 | 32-46 | 27 |
| 15.ჯენოა | 22 | 6 | 7 | 9 | 27-32 | 25 |
| 16.სასუოლო | 22 | 7 | 3 | 12 | 31-37 | 24 |
| 17.ემპოლი | 22 | 5 | 6 | 11 | 13-30 | 21 |
| 18.კროტონე | 21 | 3 | 4 | 14 | 20-37 | 13 |
| 19.პალერმო | 22 | 2 | 5 | 15 | 18-42 | 11 |
| 20.პესკარა | 21 | 1 | 6 | 14 | 16-42 | 9 |

**იტალია. სერია ბ**

ვერონა-სალერნიტანა ............ 2:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნიცა-გენგამი ............ 3:1
ტულუზა-სტ.ეტიენი ............ 0:3
პსჟ-მონაკო ............ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 22 | 15 | 4 | 3 | 65-22 | 49 |
| 2.ნიცა | 22 | 14 | 7 | 1 | 38-15 | 49 |
| 3.პსჟ | 22 | 14 | 4 | 4 | 42-16 | 46 |
| 4.ლიონი | 21 | 12 | 1 | 8 | 40-25 | 37 |
| 5.სტ.ეტიენი | 22 | 8 | 9 | 5 | 24-18 | 33 |
| 6.მარსელი | 22 | 9 | 6 | 7 | 29-27 | 33 |
| 7.ბორდო | 22 | 8 | 8 | 6 | 24-27 | 32 |
| 8.გენგამი | 22 | 8 | 7 | 7 | 28-26 | 31 |
| 9.რენი | 22 | 8 | 6 | 8 | 22-26 | 30 |
| 10.ტულუზა | 22 | 7 | 5 | 10 | 22-26 | 26 |
| 11.ლილი | 22 | 7 | 5 | 10 | 21-27 | 26 |
| 12.ნანტი | 22 | 7 | 5 | 10 | 15-29 | 26 |
| 13.დიჟონი | 22 | 5 | 9 | 8 | 30-32 | 24 |
| 14.ნანსი | 21 | 6 | 6 | 9 | 16-25 | 24 |
| 15.მონპელიე | 22 | 5 | 8 | 9 | 30-39 | 23 |
| 16.ანჟე | 22 | 6 | 5 | 11 | 19-28 | 23 |
| 17.ბასტია | 22 | 5 | 7 | 10 | 19-26 | 22 |
| 18.კაენი | 21 | 6 | 4 | 11 | 24-36 | 22 |
| 19.მეცი | 21 | 6 | 5 | 10 | 21-38 | 21 |
| 20.ლორიანი | 22 | 5 | 3 | 14 | 25-46 | 18 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ჰერენვენი-გრონინგენი ............ 0:0
აიაქსი-დენ ჰააგი ............ 3:0
ვიტესი-ალკმაარი ............ 2:1
ზვოლე-ტვენტე ............ 1:2
ფეიენოორდი-ნაიმეგენი ............ 4:0

**პორტუგალია. ლიგის თასი. ფინალი**

ბრაგა-მორეირენშე ............ 0:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სელტიკი-ჰარტსი ............ 4:0

**ბელგია. 1 დივიზიონი**

გენტი-ბრიუგე ............ 2:0
ანდერლეხტი-სტანდარდი ............ 0:0
მუსკრონი-ეუპენი ............ 3:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანათინაიკოსი-ლევადიაკოსი ............ 0:0
ატრომიტოდი-იანინა ............ 1:1
პანეთოლიკოსი-პაოკი ............ 0:1
პლატანიასი-კერკირა ............ 2:1
ვერია-ოლიმპიაკოსი ............ 1:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

გენჩლერი-ოსმანლი ............ 1:1
ბაშაქშეჰირი-ბურსა ............ 1:0
ტრაბზონი-გაზიანთები ............ 4:0
ქაისერი-ფენერბახჩე ............ 4:1

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

ფორმა N1 – საწევრო შენატანები და შემოწირულებები
ფორმა ივსება ქართული შრიფტით (sylfaen), ფონტის ზომა 10

საანგარიშგებო პერიოდი
01.01.2016/31.12.2016

ანგარიშვალდებული პირის დასახელება: მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო"

| N | ოპერაციის თარიღი | შემოსავლის ტიპი * | თანხა / ღირებულება (ლარებში) | ფიზიკური პირის სახელი და გვარი / იურიდიული პირის დასახელება | პირადი ნომერი / საიდ. კოდი | შემომწირავის საბანკო ანგარიშის ნომერი | შემომწირავის ბანკი | არაფულადი ფორმით ***: ქონების აღწერილობა **** | არაფულადი ფორმით ***: მომსახურების მოკლე აღწერილობა | არაფულადი ფორმით ***: რაოდენობა/ მოცულობა | დამატებითი ინფორმაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| 1 | 14-07-16 | ფულადი შემოწირულობა | 40,000.00 | ზინაიდა კაპანაძე | 01005006414 | GE46TB1146645063622464 | სს თიბისი ბანკი | | | | |
| 2 | 14-07-16 | ფულადი შემოწირულობა | 40,000.00 | ავთანდილ კვანტალიანი | 62001007576 | GE11TB0658436010100027 | სს თიბისი ბანკი | | | | |
| 3 | 14-07-16 | ფულადი შემოწირულობა | 40,000.00 | გოჩა გოჩიაშვილი | 01030022664 | GE80TB7539345063600007 | სს თიბისი ბანკი | | | | |
| 4 | 14-07-16 | ფულადი შემოწირულობა | 11,200.00 | სერგო ჩიხლაძე, | 01030018655 | GE11TB1180645161622337 | სს თიბისი ბანკი | | | | |
| 5 | 14-07-16 | ფულადი შემოწირულობა | 3,000.00 | ირაკლი შენგელია, | 62006001442 | GE23TB7240845064300002 | სს თიბისი ბანკი | | | | |
| 6 | 14-07-16 | ფულადი შემოწირულობა | 50,000.00 | ქეთევან სიჭინავა, | 01031005272 | GE36TB7942845063600024 | სს თიბისი ბანკი | | | | |
| 7 | 14-07-16 | ფულადი შემოწირულობა | 1,500.00 | პაატა მანჯგალაძე | 37001003169 | GE51TB3700000000637130 | ს.ს. „თიბისი ბანკი" | | | | არასწორად შემოწირული თანხა დაუბრუნდა შემომწირველს |
| 8 | 15-07-16 | ფულადი შემოწირულობა | 500.00 | პაატა მანჯგალაძე | 37001003169 | GE73TB1464136010100045 | სს თიბისი ბანკი | | | | |
| 9 | 22-07-16 | ფულადი შემოწირულობა | 1,700.00 | პაატა მანჯგალაძე | 37001003169 | GE73TB1464136010100045 | სს თიბისი ბანკი | | | | |
| 10 | 27-07-16 | ფულადი შემოწირულობა | 5,000.00 | გურამ ჩალაგაშვილი | 01009006734 | GE70TB7194845064300001 | სს თიბისი ბანკი | | | | |
| 11 | 29-07-16 | ფულადი შემოწირულობა | 25.99 | LTD TRANSFERWISE | | GE78LB0113270242555000 | სს "ლიბერთიბანკი" | | | | არასწორად შემოწირული თანხა გადაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში |
| 12 | 01-08-16 | ფულადი შემოწირულობა | 1,500.00 | გურამ გიორგაძე, | 01024010125 | GE32TB7487145061100008 | სს თიბისი ბანკი | | | | |
| 13 | 02-08-16 | ფულადი შემოწირულობა | 1,500.00 | ამირან ინასარიძე, | 01010013761 | GE22TB7828545068100001 | სს თიბისი ბანკი | | | | |
| 14 | 05-08-16 | ფულადი შემოწირულობა | 29,979.00 | სიჭინავა მერაბ | 01025011320 | GE83BG0000000285196000 | სს "საქართველოს ბანკი" | | | | |
| 15 | 05-08-16 | ფულადი შემოწირულობა | 5,000.00 | გუტა ვამაძე, | 01021000800 | GE88TB7641245066300001 | სს თიბისი ბანკი | | | | |
| 16 | 05-08-16 | ფულადი შემოწირულობა | 5,000.00 | გუტა ვამაძე, | 01021000800 | GE88TB7641245066300001 | სს თიბისი ბანკი | | | | |
| 17 | 05-08-16 | ფულადი შემოწირულობა | 4,000.00 | გუტა ვამაძე, | 01021000800 | GE88TB7641245066300001 | სს თიბისი ბანკი | | | | |
| 18 | 08-08-16 | ფულადი შემოწირულობა | 6,000.00 | ნანა მოდებაძე, | 54001004223 | GE04LB0711101076084640 | სს "ლიბერთიბანკი" | | | | |
| 19 | 15-08-16 | ფულადი შემოწირულობა | 20.00 | ასიტაშვილი-ტყეშელაშვ ნატო | 01008024688 | GE41BG0000000832398200 | სს "საქართველოს ბანკი" | | | | |
| 20 | 22-08-16 | ფულადი შემოწირულობა | 1,000.00 | შპს უნივერსალ ინტრალოჯისტიკს | 205159718 | GE47PC0183600100028020 | სს "პროკრედიტ ბანკი, საქართველო" | | | | |
| 21 | 30-08-16 | ფულადი შემოწირულობა | 1,300.00 | ვამაძე დავით | 01005008798 | GE50BG0000000664592500 | სს "საქართველოს ბანკი" | | | | |
| 22 | 01-09-16 | ფულადი შემოწირულობა | 1,125.00 | ხაზეიშვილი ლევან | 01026015755 | GE53BG0000000688287800 | სს "საქართველოს ბანკი" | | | | |
| 23 | 30-11-16 | ფულადი შემოწირულობა | 6,517.00 | ერთ. ანგ. საქ. ცენტრალური საარჩევნო კომისია | 203851509 | GE24NB0330100200165022 | ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური | | | | |
| 24 | 16-12-16 | ფულადი შემოწირულობა | 16,293.00 | ერთ. ანგ. საქ. ცენტრალური საარჩევნო კომისია | 203851509 | GE24NB0330100200165022 | ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური | | | | |
| 25 | 16-12-16 | ფულადი შემოწირულობა | 10,393.00 | ერთ. ანგ. საარჩ.სისტ.განვითარების,რეფორმებისა და სწავლების ცენტრი | 205296188 | GE24NB0330100200165022 | ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური | | | | |

* შემოსავლის ტიპი-ს ველში იწერება: ფულადი შემოწირულება, არაფულადი შემოწირულება, საწევრო შენატანი.

** "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მეორე პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად შემოწირულობის განმახორციელებელი იურიდიული პირის პარტნიორები და საბოლოო ბენეფიციარები უნდა იყვნენ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები.

*** არაფულად შემოსავალში შედის უძრავი და მოძრავი ნივთი, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე და მომსახურება. სახელმწიფო აუდიტის სამსახური უფლებას იტოვებს გადაამოწმოს შემოწირული ქონების საბაზრო ღირებულება და მოახდინოს შესაბამისი კორექტირება.

**** მიუთითეთ დეტალური ინფორმაცია ქონების შესახებ (მაგ.: მიწა, მისი ფართობი, ადგილმდებარეობა, საკადასტრო კოდი და ა.შ); აღნიშნულ ველში ივსება ინფორმაცია შემოწირულობის სახით მიღებული ქონების შესახებ.

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი

ბუღალტერი (ან სამისოდ უფლებამოსილი პასუხისმგებელი პირი)

ბ.ა.

ფორმა N3 - საარჩევნო კამპანიის ფონდის შემოსავლები
ფორმა ივსება ქართული შრიფტით (sylfaen), ფონტის ზომა 10

საანგარიშგებო პერიოდი
01.01.2016-31.12.2016

ანგარიშვალდებული პირის დასახელება:
მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო"

| N | შემოსავლების ჩამონათვალი | ფაქტობრივი შემოსავალი | საკასო შემოსავალი |
|---|---|---|---|
| 1 | შემოსავლები | 281027 | 281027 |
| 1.1 | შემოსავლები ფულადი სახით | 281027 | 281027 |
| 1.1.1 | საწევრო შენატანები | | |
| 1.1.2 | შემოწირულებები | 247824 | 247824 |
| 1.1.2.1 | შემოწირულებები ფიზიკური პირებისაგან | 246824 | 246824 |
| 1.1.2.2 | შემოწირულებები იურიდიული პირებისაგან | 1000 | 1000 |
| 1.1.2.3 | საჯარო ღონისძიებების მეშვეობით მიღებული შემოწირულებები | | |
| 1.1.3 | სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები | 33203 | 33203 |
| 1.1.3.1 | საბიუჯეტო დაფინანსება | 22810 | 22810 |
| 1.1.3.2 | საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრიდან მიღებული სახსრები | 10393 | 10393 |
| 1.1.4 | დამხმარე ხასიათის საქმიანობიდან მიღებული სახსრები | 0 | 0 |
| 1.1.4.1 | სიმბოლიკის გავრცელებით მიღებული შემოსავლები | | |
| 1.1.4.2 | ლექციებით გამოფენებით და სხვა მსგავსი ღონისძიებების მოწყობით მიღებული შემოსავლები | | |
| 1.1.4.3 | საგამომცემლო და სხვა საქმიანობით მიღებული თანხები | | |
| 1.1.4.4 | დამხმარე ხასიათის საქმიანობიდან მიღებული სხვა სახსრები | | |
| 1.1.5 | კომერციული ბანკებიდან მიღებული სესხები/კრედიტები | | |
| 1.1.6 | სხვა ფულადი შემოსავლები | | |
| 1.2 | შემოსავლები არაფულადი სახით | 0 | 0 |
| 1.2.1 | შემოწირულებები ფიზიკური პირებისაგან | 0 | 0 |
| 1.2.1.1 | შემოწირულებები ფიზიკური პირებისაგან (უძრავი ქონება) | | |
| 1.2.1.2 | შემოწირულებები ფიზიკური პირებისაგან (მოძრავი ქონება) | | |
| 1.2.1.3 | შემოწირულებები ფიზიკური პირებისაგან (სხვა) | | |
| 1.2.2 | შემოწირულებები იურიდიული პირებისაგან | 0 | 0 |
| 1.2.2.1 | შემოწირულებები იურიდიული პირებისაგან (უძრავი ქონება) | | |
| 1.2.2.2 | შემოწირულებები იურიდიული პირებისაგან (მოძრავი ქონება) | | |
| 1.2.2.3 | შემოწირულებები იურიდიული პირებისაგან (სხვა) | | |
| 1.2.3 | სხვა არაფულადი შემოსავლები (მათ შორის მოგება კურსთაშორისი სხვაობებიდან) | | |

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი

ბუღალტერი (ან სამისოდ უფლებამოსილი პასუხისმგებელი პირი)

ბ.ა.

ფორმა N4 - ხარჯები (საარჩევნო კამპანიის ფონდის და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრიდან მიღებული სახსრების ხარჯების გარდა)
ფორმა ივსება ქართული შრიფტით (sylfaen), ფონტის ზომა 10

საანგარიშგებო პერიოდი
01.01.2016/31.12.2016

ანგარიშვალდებული პირის დასახელება:
მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო"

| N | ხარჯების ჩამონათვალი | ფაქტობრივი ხარჯი | საკასო ხარჯი |
|---|---|---|---|
| 1 | ხარჯები | 247,717 | 247,717 |
| 1.1 | შრომის ანაზღაურება | 0 | 0 |
| 1.1.1 | ხელფასები | | |
| 1.1.2 | პრემია | | |
| 1.2 | საქონელი და მომსახურება | 247,717 | 247,717 |
| 1.2.1 | მივლინებები | 0 | 0 |
| 1.2.1.1 | მივლინებები ქვეყნის შიგნით | | |
| 1.2.1.2 | მივლინებები ქვეყნის გარეთ | | |
| 1.2.2 | ოფისის ხარჯები | 1,200 | 1,200 |
| 1.2.2.1 | საკანცელარიო საქონლის, საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის შეძენის, დამონტაჟების და მოვლა-შენახვის ხარჯები | | |
| 1.2.2.2 | საოფისე ავეჯი | 1200 | 1200 |
| 1.2.2.3 | შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯები | | |
| 1.2.2.4 | კავშირგაბმულობის ხარჯი | | |
| 1.2.2.5 | საფოსტო მომსახურების ხარჯი | | |
| 1.2.2.6 | კომუნალური ხარჯი | 0 | 0 |
| 1.2.2.6.1 | ელექტროენერგიის ხარჯი | | |
| 1.2.2.6.2 | წყლის ხარჯი | | |
| 1.2.2.6.3 | ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი | | |
| 1.2.2.6.4 | სხვა კომუნალური ხარჯი | | |
| 1.2.2.7 | ოფისის ხარჯი რომელიც არ არის კლასიფიცირებული | | |
| 1.2.3 | წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| 1.2.4 | კვების ხარჯები | | |
| 1.2.5 | სამედიცინო ხარჯები | | |
| 1.2.6 | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები | 14,980 | 14,980 |
| 1.2.6.1 | საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი | 14,980 | 14,980 |
| 1.2.6.2 | მიმდინარე რემონტის ხარჯი | | |
| 1.2.7 | ბანკის მომსახურების ხარჯი | 157 | 157 |
| 1.2.8 | რეკლამის ხარჯი | 185,500 | 185,500 |
| 1.2.8.1 | სატელევიზიო რეკლამის ხარჯები | 184,550 | 184,550 |
| 1.2.8.2 | ბეჭდური რეკლამის ხარჯები | 950 | 950 |
| 1.2.8.3 | ინტერნეტ-რეკლამის ხარჯი | | |
| 1.2.8.4 | ბრენდირებული აქსესუარებით რეკლამის ხარჯი | | |
| 1.2.8.5 | გარე რეკლამის ხარჯი * | | |
| 1.2.8.6 | სხვა სარეკლამო ხარჯები | | |
| 1.2.9 | სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების მოწყობის ხარჯები | 1,233 | 1,233 |
| 1.2.10 | საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების | 2,360 | 2,360 |
| 1.2.11 | აუდიტორიული მომსახურების ხარჯი | | |
| 1.2.12 | შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯი | | |
| 1.2.13 | იჯარის ხარჯი | 42,286 | 42,286 |
| 1.2.13.1 | უძრავი ქონების იჯარის ხარჯი | 41,186 | 41,186 |
| 1.2.13.2 | ავტოსატრანსპორტო საშუალებების იჯარის ხარჯი | 1,100 | 1,100 |
| 1.2.13.3 | სხვა მოძრავი ქონების იჯარის ხარჯი | | |
| 1.2.14 | კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებები | | |
| 1.2.15 | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | |
